ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

თელავის პოლიციის უფროსის მოადგილე ვანო ზანდარაშვილი თელავის კლინიკის დირექტორ ზურაბ საჩიშვილის მკვლელობისთვის დააკავეს

გვ.5

ორშაბათი, 28 დეკემბერი, 2020 №262 (8526) ფასი: 60 თეთრი

„ნიკა მელიას არჩევით ნაციონალურ მოძრაობაში ბელადომანია დასრულდა“

გია ხუხაშვილი: „ამის შემდეგ ნაცმოძრაობა მართლა პარტიად ჩამოყალიბდება“

„ოპოზიციის დეპუტატებისთვის ხელფასის ჩარიცხვა ბიუჯეტის ფლანგვაა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია“

გვ.2

გვ.3

„ვარშალომიძე განწირულ ადამიანია, მელია – ცეცხლი და დრაივი“

მამუკა გამყრელიძე: „სააკაშვილის გარეშე ნაციონალური მოძრაობა ამომრჩევლისა და რეიტინგის გარეშე იქნება“

გვ.2

თაკო ჩარკვიანი: „ბიზნესი გაგვინადგურეს, გვითხრეს, ყველაფერი აღდგება, ოღონდ პარლამენტში უნდა შეხვიდეო“

ლევან ალაფიშვილი: „პარტიების დაფინანსება გამჭვირვალე უნდა იყოს“

გვ.3

სამტრედიაში 30 წლის ბ.გ. მეზობლის მკვლელობისთვის დააკავეს

გვ.3

თამარ თორაძემ კელი დეგნანს ღია წერილით მიმართა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 „ელიზა კალანდაძეს ნასვამმა ქმარმა ფული მოსთხოვა და უარის გამო დანით მოკლა“

6 ავსტრიაში ლოკდაუნი უკვე მესამედ დაწესდა

5 პოლიციამ იმერეთში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

6 ევროპის ქვეყნებში კოვიდ 19-ის ვაქცინაცია დაიწყო

თაკო ჩარკვიანი: „ბიზნესი გაგვინადგურეს, გვითხრეს, ყველაფერი აღდგება, ოღონდ პარლამენტში უნდა შეხვიდეო“

„რაში მაინტერესებს, რას იტყვის „კონსტი-ტუტუცო-ნალისტი“?! კობახიძე თავად არის ტყუილი“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ უწოდა ირაკლი კობახიძეს „კონსტი-ტუტუცო-ნალისტი“ და რას უპასუხებს მას, რომელმაც თქვა, რომ ჩარკვიანმა იცრუა? რა ტიპის მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან დაახლოებული პირები პარლამენტში მის შესვლასთან დაკავშირებით და რატომ არ საუბრობს კონკრეტულ დეტალებზე? შეიტანს თუ არა სასამართლოში სარჩელს და იმავე შინაარსის მოლაპარაკებები სხვებთანაც ხომ არ იმართებოდა? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.

— ირაკლი კობახიძეს მიმართეთ სოციალური ქსელის საშუალებით და უწოდეთ „კონსტი-ტუტუცო-ნალისტი“. რამ გამოიწვია თქვენი გაბრაზება?

— ეს გამოიწვია ვაშაძის მიმართ დამოკიდებულებამ, რომელსაც სულ ახლახან გარდაეცვალა მამა და მისი ასე მოხსენიება, როდესაც ტესტების ნაწილში აუგად მოიხსენია, არ შეიძლებოდა. ისეთ კონტექსტში მოიხსენია, ახლა ვაშაძის ტესტებიღა გვაკლიაო, ვაშაძემ ამ სწრაფი ტესტების თემაზე მთელი პროექტი წარადგინა. ირაკლი კობახიძე „კონსტი-ტუტუცო-ნალისტია“, რომელმაც არც ახლადგარდაცვლილი იცის და არც სოციალურად დაუცველები.

ხელისუფლება გაიძახის, რომ თურმე დიალოგი უნდა, მაგრამ, დიალოგი რომ უნდოდეს, შეიძლება, მოლაპარაკებებზე მედიატორად კობახიძე წარმოადგინო?! მედიატორად არჩევენ ადამიანს, რომელიც არის მომრიგებელი, რბილი ტონით გამოირჩევა და ა.შ.

— საინტერესო ფაქტია, რომ თავიდან კობახიძე არ იყო მომლაპარაკებლებს შორის და მხოლოდ თალაკვაძე იყო, მაგრამ მოგვიანებით ისიც ჩაერთო. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— ჩვენც გაგვიჩნდა ეგ კითხვა. რატომ უნდა შემოიყვანო კობახიძე, რომლის მიმართაც ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება, გავრილოვიდან დაწყებული. იმ დღეს თითქოს უკვე მიწყნარებული იყო ხალხი და კობახიძის გამოსვლამ ესკალაცია გამოიწვია.

— თუმცა მან თქვა, გავრილოვი, ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ერთად მოქმედებენო.

— უკვე არანორმალურობის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამით ამტკიცებენ, რომ თურმე ქვეყანას არც უსაფრთხოება აქვს, არც უშიშროება. უძლურები და საცოდავები არიან, თუ ოპოზიციურ ძალას შეუძლია ასეთი რაღაცების გაკეთება. მთლად უბედურებას ამტკიცებს კობახიძე ამით. შეუძლებელია ასეთი ცინიზმი. როდესაც დიალოგზე ლაპარაკობ და გინდა, რომ რაიმე გააკეთო... ვიხუმრე, მგონი, „ქართულ ოცნებას“ „ჩაუდეს“ ეს კობახიძე-მეთქი. შეუძლებელია, მაგიდასთან მომრიგებლად გყავდეს ადამიანი ასეთი მეტყველებით და ის, ვინც ადამიანების წამკიდებელია.

— ხმაურიანი განცხადება გააკეთეთ რამდენიმე დღის წინ და თქვით, რომ პარლამენტში შესვლის სანაცვლოდ გარიგება შემოგთავაზეს.

— მე მხოლოდ კობახიძეზე არ გამიკეთებია განცხადება. ვთქვი შემდეგ, რომ ძალიან მაღალი ფასი დავადეთ კობახიძეს და ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებთან დაახლოებული პირებიც იყვნენ მოსული ჩვენს ოჯახში. მხოლოდ კობახიძე არ იყო. კობახიძე იყო ერთ-ერთი, რომელთანაც დაახლოებული პირები მოვიდნენ.

— სხვები ვინ იყვნენ, რომელი მაღალჩინოსნებისგან?

— ამაზე კიდევ უფრო სერიოზულ განცხადებას გავაკეთებ უახლოეს მომავალში, რომელიც იქნება თავისი სამართლებრივი საფუძვლებით.

— ის სხვები მინისტრთა კაბინეტიდან არიან?

— ამაზე არ ვსაუბრობ ამ ეტაპზე.

— სასამართლოშიც ხომ არ აპირებთ სარჩელის შეტანას?

— ვნახოთ, როგორ წავა და რა წავა ამ ყველაფერზე.

— ახსენეთ, რომ მოლაპარაკებებში თქვენი მეუღლეც იყო ჩართული. მუქარაც ხომ არ იყო, იქიდან გამომდინარე, რომ თქვენს მეუღლეს აქვს ბიზნესი?

— იცით, როგორი სტილია? მე ამას გეტყვით და, ვინ როგორ აღიქვამს. თეთრზე გეტყვიან, რომ შავია. სასამართლო შეიძლება ქსეროასლის დოკუმენტით გესაუბროთ. ასეთ რაღაცებს აკეთებენ. გაგინადგურებენ ბიზნესს და, როდესაც კედელთან მიგიმწყვდევენ, მერე დაგიწყებენ ლაპარაკს. ადამიანები ვერ უძლებენ ამას. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ერთი დღე არ მინდა, ცოცხალი ვიყო, თუ ვნახე, რომ ჩემი ქვეყანა რუსეთისკენ წავიდა. ეს ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ბევრი არ არის ასეთი იდეალისტი. ბევრი ადამიანი ცდუნებას ვერ უძლებს. ამ საკითხში ჩემნაირი იდეალისტი ბევრი არ არის.

— იმ შეხვედრებზე ასეთი ქვეტექსტებიც იყო, რომ შესაძლოა, ასეთი რაღაცა თქვენს ბიზნესსაც დამართონ?

— ერთ შეხვედრაზე იყო ქვეტექსტი და შემდეგ შეხვედრებზე ღიად იყო ნათქვამი. რაღა ქვეტექსტია, როდესაც შენს ბიზნესზე, რომელიც გაგინადგურეს და ამაზე გეტყვიან, ყველაფერს აღვადგენთ და ყველაფერი გაკეთდება, ოღონდ უნდა შეხვიდეო?!

— ანუ ბიზნესი უკვე გაგინადგურეს და შეგპირდნენ, რომ ამ ბიზნესს აღგიდგენენ?

— რა თქმა უნდა. მეკითხებიან ხოლმე, რთული არ იყოო? ამხელა ბიზნესზე როდესაც არის საუბარი, რთულია, აბა, რა ჯანდაბაა! მილიონებიან ბიზნესზე როცაა ლაპარაკი, რთულია, აბა, რა არის!

— კონკრეტული თანხა არ დასახელებულა?

— ამაზე მერე ვისაუბრებთ.

— რატომ იკავებთ თავს დეტალებზე საუბრისგან?

— კონსულტაციებს ყოველთვის გავდივარ იურისტებთან. მე სამართლებრივად მიყვარს საუბარი. ჩემს ვერც ერთ განცხადებას ვერ ნახავთ, რომელიც სამართლებრივად არ იქნება გამაგრებული. არ არსებობს ჩემგან განცხადება, რომელიც არგუმენტებით არ გამაგრდება. როგორ გეკადრებათ! იურისტებთან კონსულტაციების გარეშე ნაბიჯს არ ვდგამ, რადგან არ ვარ იურისტი. როგორც საჭირო იქნება, ისე გავაკეთებთ. იცით, რომ არასანდო სამართლებრივი სისტემაა. ამიტომ ყველაფერი უნდა გათვალო. პროკურატურისა და სასამართლოს ნიშანწყალი აღარ არსებობს და ვის უნდა ელაპარაკო!

— ირაკლი კობახიძემ თქვენს განცხადებას ტყუილი უწოდა. რას უპასუხებთ მას?

— რაც საჭირო იყო, ყველაფერი ვთქვი და რაც უნდა, ის უწოდოს რაში მაინტერესებს! ვის აინტერესებს. აბა შეხედეთ, ვინ აკეთებს ასეთ განცხადებას ტყუილუბრალოდ?! ირაკლი კობახიძეა თავიდან ბოლომდე ტყუილი. ასე რომ, ნაკლებად მაინტერესებს.

— თქვენს გუნდში სხვებთანაც ხომ არ იყო იმავე სახის შეთავაზებები?

— მე ვერ გეტყვით. ხომ იცით, სხვების მაგივრად საუბარი არ მიყვარს. თავად ისაუბრონ. ვიცი, რომ ვიღაცებს რაღაცებზე ესაუბრებიან, მაგრამ მე სხვების მაგივრად არ ვილაპარაკებ.

— ბოლოს მითხარით, რა მოლოდინით ხვდებით 2021 წელს?

— მე ოპტიმისტური მოლოდინით ვხვდები. არ ვიცნობ ისეთ საქართველოს, რომელმაც შეიძლება აიტანოს „კონსტი-ტუტუცო-ნალისტები“, ისეთი, როგორიც კობახიძეა. ველოდები იმ 2021 წელს, როდესაც „კონსტი-ტუტუცო-ნალისტები“ დატოვებენ ხელისუფლებას და მოვლენ კონსტიტუციონალისტები.

„ნიკა მელიას არჩევით ნაციონალურ მოძრაობაში ბელადომანია დასრულდა“

გია ხუხაშვილი: „ამის შემდეგ ნაცმოძრაობა მართლა პარტიად ჩამოყალიბდება“

იაგო ნაცვლიშვილი

რა აჩვენა თელავის მაგალითმა, როდესაც ექიმი მოკლეს და ბრალდებული პოლიციის მაღალჩინოსანია? რას ემსახურება „ოცნების“ ქმედება, როდესაც ოპოზიციის დეპუტატებს ხელფასებს ურიცხავენ, იმის მიუხედავად, რომ მათ მანდატებზე უარი თქვეს? ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ ნიკა მელიას არჩევა ნაშნავს თუ არა იმას, რომ მიხეილ სააკაშვილის როლი პარტიაშიც სუსტდება? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

— პარასკევს თელავში საავადმყოფოს დირექტორი მოკლეს. ბრალდებულია პოლიციის მაღალჩინოსანი. ეს ფაქტი რას ნიშნავს?

— ფაქტია, რომ საზღვრები მოიშალა. სამწუხაროდ, ძალოვნების კონტროლი ძალიან დასუსტებულია. ყველაფერი ერთმანეთშია აღრეული და პანდემიამაც იმოქმედა, იმიტომ, რომ ზოგადი ფსიქოლოგიური ფონი დამძიმდა. ადამიანებში, რომლებიც „ნარუშილოვკით“ სარგებლობენ, დამკვიდრდა ახალი ფენომენი. თვითონ ეს სიტუაცია, რომელიც შეიქმნა, ამაზე მეტყველებს. ნახეთ, რა ხდებოდა — გამოცხადებულია კომენდანტის საათი, როდესაც იზღუდება გადაადგილება, თუ არ მეშლება, ეს მოქმედებს თელავშიც, შესაბამისად, ვინც სუფრასთან ზის, ყველა კანონდამრღვევია. ადამიანები, რომლებსაც ევალებათ კანონის დაცვა, კოლექტიურად არღვევდნენ კანონს, რაც ტრაგედიით დამთავრდა.

ქვეყანაში არ არსებობს პასუხისმგებლობა, საერთოდ არანაირი პასუხისმგებლობა არ არსებობს. თუ უფრო შორს წავალთ, დავინახავთ, რომ ეს ინსტიტუციური პასუხისმგებლობა მოხსნილია იმის გამო, რომ ზემოდან არ არის მმართველობის ალგორითმი. მეტსაც გეტყვით, პრემიერ-მინისტრიც არაფერზე აგებს პასუხს. შესაბამისად, არავინ არაფერზე არ იღებს პასუხისმგებლობას. თავიანთ პატარა ჭიას ახარებენ და ამ პროცესში ხდება ტრაგიკული მოვლენები და უბედურებები.

ჩინოსნები, განსაკუთრებით პოლიცია, პასუხისმგებელი არიან კომენდანტის საათის დაცვაზე. ამ დროს კი პოლიციის მაღალჩინოსანი თავად მონაწილეობს ღრეობაში და მას უსხედან იმ ღრეობაში სხვებიც, რომლებიც აგრეთვე კანონს არღვევენ და ისინი უყურებენ ამ სიტუაციას.

ასეთ დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს, იმიტომ, რომ ყველა წითელი ხაზი გადაკვეთილია თვითონ ამ თავყრილობის ფაქტში.

— ეს არის სახიფათო სიგნალი, მაგრამ, როდესაც კანონს არ იცავს ის, ვისაც პირველ რიგში ევალება, მას მეტი პასუხისმგებლობა ხომ არ უნდა დაეკისროს?

— რა თქმა უნდა. ჩინოსნებზე ბევრად უფრო მძიმე სანქცია უნდა იყოს კანონდარღვევასთან დაკავშირებით, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებზე. პრევენციის სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს.

*— ნაციონალურმა მოძრაობამ თავმჯდომარედ აირჩია ნიკა მელია. ბევრი ელოდა, რომ სააკაშვილის ფავორიტი იქნებოდა ვარშალომიძე, მაგრამ პარტიის მხარდამჭერებმა მელია აირჩიეს. ს

„პარტიების დაფინანსება გამჭვირვალე უნდა იყოს“

ლევან ალაფიშვილი: „პარტიის ერთპიროვნულად მართვის ყველა მცდელობა კრახით სრულდება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პარლამენტში შევა არა ოპოზიციის დესტრუქციული ნაწილი, არამედ – თავის ამომრჩეველზე ორიენტირებული. თუ რამდენიმე დეპუტატი შევა ოპოზიციიდან, ამით შეიძლება პოლიტიკური კრიზისი დასრულდეს კიდეც?

– ოპოზიცია შევა თუ არ შევა პარლამენტში, ეს საკითხი უკვე არ არის დამოკიდებული მმართველ პარტიაზე. ეს ის საკითხია, რომელსაც ისინი ვერ გააკონტროლებენ, უფრო ზუსტად კი – დააგვიანდათ. შეიძლება, ძალიან უნდათ თალაკვაძეს ან სხვას, მაგრამ ეს ასეა. თუმცა გონიერ პოლიტიკოსს უმრავლესობიდან დღევანდელობის გათვალისწინებით კი უნდა უნდოდეს ოპოზიციის მონაწილეობა ამ პროცესში.

როგორ განვითარდება შემდგომი პროცესები, არავინ იცის, დარჩება ქუჩაში თუ პარლამენტში გადაინაცვლებს, ან შეიძლება პარალელური პროცესები განვითარდეს.

თვით „გირჩისა“ და „მოქალაქეების“ პოზიციაც ცალსახაა: ისინი მარტო არ აპირებენ პარლამენტში შესვლას. მათი ლიდერები თავიანთ განცხადებებში მიანიშნებენ, როგორც მოიქცევა დანარჩენი ოპოზიცია, ისე იმოქმედებენ.

ვფიქრობ, დიდწილად პარლამენტში ოპოზიციის შესვლა-არშესვლის საკითხი ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებაზეც არის დიდწილად დამოკიდებული. „ქართული ოცნება“ მთელი რვა წელი გვეუბნებოდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას დაასრულებდა, მაგრამ მივიღეთ მოცემულობა და არა მხოლოდ საზოგადოებამ, არამედ პირველ რიგში თავად, როდესაც დღეს პოლიტიკური პროცესების განვითარება ქვეყანაში ნაციონალურ მოძრაობაზეა დამოკიდებული. ოპოზიცია ღიად აცხადებს, რომ ნაციონალების გარეშე პარლამენტში არ შევლენ. ცხადია, აქ იგულისხმება ის რესურსი, ის მანდატები, რომლებიც მათ აქვთ.

– აქამდე „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებდა, რომ მისი მთავარი ოპონენტი სწორედ ნაციონალური მოძრაობა ყოფილიყო. პოლიტიკურად ეს ოპონირება მას ყველაზე მეტად აწყობდა. დღეს რატომ გადაწყვიტა, რომ რეგისტრაციიდან მოხსნას?

– ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს: მთელი რვა წლის განმავლობაში ვერც ერთ სისტემურ წარმატებასთან ვერ ახდენს არსებული ხელისუფლება იდენტიფიცირებას, ამიტომ მას სჭირდება ძალიან ხმამაღალი განაცხადის გაკეთება, რომელზეც ის თავის ამომრჩეველს ეტყვის – დაგპირდით ნაციონალური მოძრაობის განადგურებას და დღეს ის აღარ არსებობს. ფიქრობენ, სხვა თუ ვერა, ეს მაინც გავაკეთეთო, მაგრამ ეს ხომ მართლა არ არის მარტივად შესაძლებელი საქმე! თავიანთ ამომრჩეველს ეუბნებიან, რომ ამ ოთხ წელს ამ საქმეს მიუძღვნიან, რათა საბოლოოდ დაასრულონ ნაციონალები. ესღა დარჩენიათ. სოციალური, ეკონომიკური, საგარეო პოლიტიკა, მართლმსაჯულება – ეს უკვე გავლილი აქვთ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ძალიან მეეჭვება, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ოთხი წელი დარჩენისთვის ეს თემა ეყოთ.

– სამართლებრივად რამდენად შეძლებენ?

– სამართლებრივად რა ცვლილებებს შეიტანენ კანონში, ვნახოთ. მე არ ვფიქრობ, რომ ასეთი ყოჩაღები არიან. ვენეციის კომისიასა და ევროსაბჭოში მოუწიათ ამ ცვლილებებისა და ინიციატივების გაგზავნა. ვნახოთ, იქ რა ინიციატივას გააგზავნინან და შემდეგ უკვე იქიდან რა დასკვნა ჩამოვა. ამის შემდეგ ვისაუბროთ იმაზე, როგორი ყოჩაღები იქნებიან ამ ინიციატივის ავტორები.

– რატომ, ფიქრობთ, ვერ შეძლებენ?

– და რას უზამენ ამ ხალხს?! ამ პარტიის ამომრჩევლებს?! ეს ხალხი ოფიციალურად, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცესკოს მონაცემებით არსებობს ამ ქვეყანაში. მე მაინც ვფიქრობ, რომ ამას ვერ გააკეთებენ. ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში თუკი პარტიის საქმიანობა კონსტიტუციის ფარგლებში ჯდება ანუ თუ არ არსებობს მისი საქმიანობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს, ის პოლიტიკური სუბიექტი არჩევნებში ჩვეულებრივ მონაწილეობს.

– 20 ათასზე მეტმა მხარდამჭერმა აირჩია თავმჯდომარედ ნიკა მელია. რამდენად შეძლებს ის, სააკაშვილისგან დამოუკიდებლად მართოს პარტია, თუ მის დირექტივებს ვერ ასცდება?

– მხოლოდ და მხოლოდ ილუზიაა, რომ რომელიმე ერთმა ადამიანმა შეძლოს პოლიტიკური პარტიის მართვა. პარტიის ერთპიროვნულად მართვის ყველა მცდელობა კრახით სრულდება და ამას საქართველოს ისტორია ადასტურებს. დემოკრატიულ საზოგადოებაში ცენტრალიზებულად პარტიის მართვა შეუძლებელია. ცენტრალიზებული მართვა მხოლოდ ტოტალიტარიზმში იყო შესაძლებელი.

თუკი რამე გაჯანსაღებას საჭიროებს ქვეყანაში, ეს, პირველ რიგში, პარტიული სისტემაა. ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს, პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც დემოკრატიის აშენებას გვპირდება, პირველ რიგში შიგნით, პარტიაში უნდა ჰქონდეს დემოკრატია. პოლიტიკური პარტიები დემოკრატიულ სტანდარტებს უნდა დაეფუძნონ. დაფინანსება სრულიად ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს ყოველივე საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს.

„ვარშალომიძე გაწონასწორებული ადამიანია, მელია – ცეცხლი და დრაივი“

მამუკა გამყრელიძე: „სააკაშვილის გარეშე ნაციონალური მოძრაობა ამომრჩევლისა და რეიტინგის გარეშე იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ნაციონალურ მოძრაობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ამბობენ, რომ მელია ქუჩის ლიდერად არის დაბადებული და უნდა ველოდეთ, რომ ნაცმოძრაობა ქუჩაში იაქტიურებს. რას იტყვით თქვენ, რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამენ და როგორ განვითარდება მოვლენები?

– მართალია, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ არჩევნების ასეთი ფორმა ცოტა გამიკვირდა.

– რას გულისხმობთ?

– თითქოსდა ეს იყო საყოველთაო არჩევნები, მაგრამ იქ არ იყვნენ მხოლოდ მომხრეები. ფეისბუქზე ვისაც უნდა, იმას შეუძლია შევიდეს და ასევე ანგარიშებიდანაც შეიძლება ხმის მიცემა. ცოტა უცნაურია, როცა 30 ათასი ამომრჩეველი გყავს და ვერ იგებ ზუსტად, მისცეს ხმა თუ არ მისცეს. ვიღაც სხვებმა მიიღეს მონაწილეობა, გარდა ამომრჩევლისა.

– იმის თქმა გსურთ, რომ გამჭვირვალე პროცესი არ იყო?

– ეს მეთოდი დასახვეწია. აუცილებლად უნდა იყოს ხმის მიცემა მომხრეებსა და პარტიის წევრებს შორის, მაგრამ ეს უფრო პერსონალიზებულად უნდა ხდებოდეს. აი ასე ვიღაცა შალიკო მოვიდა და მისცა ხმა, ეს ცოტა უცნაურია. ორივე კანდიდატი ჩემთვის ძალიან საინტერესო ადამიანია, სხვადასხვანაირები არიან. ლევანი ძალიან სერიოზული და კარგი ორგანიზატორია. ძალიან ვაფასებ მას, როგორც პიროვნებას.

– უფრო გაწონასწორებულია, ვიდრე მელია თუ რის თქმა გსურთ?

– ბევრად გაწონასწორებულია. ის მაინც სისტემაში მომუშავე ადამიანი იყო და ასეთად დარჩება. ნიკა არის ცეცხლი და დრაივი. სრულიად სხვადასხვა ტიპები არიან. როგორც ჩანს, ასეთი ტიპის ლიდერი არჩიეს, ასე გადაწყვიტეს.



„დღეს ყველასა და ყველაფერზე კორონა იმარჯვებს, მაგრამ, არიან ადამიანები, რომლებმაც ამ უბედურების ხარჯზე ხელი მოითბეს და ძალიან გამდიდრდნენ“

– ფიქრობთ, რომ ქუჩაში გააქტიურდებიან? ფაქტია, პარლამენტში არ შედიან, დარჩნენ ქუჩის ოპოზიციად.

– ასე გადაჭრითაც ნუ ვიტყვით. ჯერჯერობით ცოტა თავს ვიკავებ ამ შეფასებებისაგან, რადგან მოლაპარაკებები გრძელდება და არ ვიცი, რა და როგორ იქნება, შევლენ, არ შევლენ. ცალ-ცალკე პიროვნებებმა დაიწყეს უკვე ლაპარაკი შესვლაზე.

– შეიძლება, მოვლენები შეიცვალოს?

– რა თქმა უნდა. ამიტომ წინასწარ ძნელია თქმა, რა იქნება.

– რადიკალურად?

– გააჩნია, რა დათმობებზე წავა ხელისუფლება, როგორ კომპრომისზე წავა ოპოზიცია რას შესთავაზებენ ახალ საარჩევნო სისტემას, ახალ არჩევნებს, კომისიების დაკომპლექტების ახალ წესს თუ ასე შემდეგ. მეორე მხრივ, მესმის, რომ ოპოზიციას არაფრის დათმობა არ უნდა, რადგან ფიქრობს, რომ არჩევნები გაუყალბეს. ხელისუფლებას ცალკე თავისი სიმართლე აქვს, ამბობს, ჩვენ ამდენი პროცენტი ავიღეთო და ოპოზიციას ამის გაგება არ უნდა. მოკლედ, ყველას თავისი სიმართლე აქვს.

– თუ არ შევლენ, ქუჩის აქციებს უნდა ველოდეთ?

– სიმართლეს გეტყვით, არ არის დღეს ის მოცემულობა, რომ ხალხმრავალი ქუჩის აქციები მივიღოთ. ნიკა მელია კი არა, ვინც არ უნდა აერჩიათ, ეს მოცემულობა არ შეიცვლება. ეზარება ხალხს გარეთ გამოსვლა, სამზარეულოში მზესუმზირის ჭამა, კომპიუტერთან კაკუნი და სხვისკენ თითის გაშვერა ურჩევნიათ. აქ არის მეორე საკითხიც, რაც არ უნდა იყოს, ოპოზიცია უფრო ტაქტიანი უნდა ყოფილიყო ელჩებთან დაკავშირებით. არ იყო სწორი პოზიცია, როგორც მოიქცნენ.

– დაზარალდება ამით ოპოზიცია?

– ძალიან დაზარალდება. ოპოზიციის ნაწილი ბოლოს მაინც გონს მოეგო და შეეძლო სიტუაციის შემობრუნება, მადლობა გადაუხადეს ელჩებს თანამშრომლობისთვის, თუმცა ამან ოპოზიციაც და პროცესიც დააზარალა. დიპლომატებთან ასე საუბარი არ შეიძლება.

– გრიგოლ ვაშაძისთვის ეს გახდა სწორედ ყველაზე მიუღებელი და ამიტომ წავიდაო.

– რა თქმა უნდა, ეს ყოვლად მიუღებელი იყო მისთვის, თუმცა არა მარტო ეს.

– ამბობენ, რომ ნაცმოძრაობაში მერაბიშვილია დღეს მთავარი და ის წყვეტს ყველაფერს. ასეა?

– შესაძლოა, ასეც არის. ვანო ძალიან კარგი მენეჯერია, იცის პარტიის სტრუქტურა, კარგი გადაწყვეტილებების მიღება. მას პარტიის პოლიტსაბჭოში ბევრი მომხრე და მეგობარი ჰყავს. როგორც ჩანს, დაიბრუნა ძველი დიდება და გავლენები, თუმცა მას არ უყვარს ღია მართვა, კულუარული მმართველია.

– ახლა რა იქნება, მიშასაც ჩააჩოჩებს?

– მიშას ვერ ჩააჩოჩებს. შესაძლოა, აქ თვითონ მართოს სიტუაცია, მაგრამ მიშას ჩაჩოჩება არ გამოვა. მიშა არის ნაცმოძრაობის ამომრჩეველი. თუ ჩააჩოჩებენ მიშას, დარჩებიან ამომრჩევლის გარეშე, რადგან ამომრჩეველი ამ პარტიისთვის მოჰყავს მიშას. მიშას გარეშე ნაციონალური მოძრაობა იქნება, როგორც „ევროპული საქართველო“, ამომრჩევლისა და რეიტინგის გარეშე. ასე რომ, მიშა სჭირდება ნაცმოძრაობას. ჩვენი ამომრჩევლის უბედურება ის არის, რომ მათ უნდათ ლიდერები, მიშა, ბიძინა და ასე შემდეგ. პიროვნებებს უჭერენ მხარს.

– არსებობს აზრი, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი შედის პარლამენტში და ერთი ოპოზიციური ფრაქცია შეიქმნება.

– მეც მაქვს ეს ინფორმაცია და, მე თუ მკითხავთ, ასე უკეთესი იქნება, რადგან ხელისუფლებას შიგნიდანაც უნდა გაუწიოს ვინმემ ოპონირება. ოპოზიციის გარეშე სერიოზულ კრიზისში შევლენ. ერთი პატარა ფრაქცია ვერ უშველით. მაინც მგონია, რომ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება და ყველაზე გვიან ეს, შესაძლოა, 2022 წელს ჩატარდეს. დიდი კრიზისები ელის წინ ხელისუფლებას.

– ხელისუფლება ახსენეთ. ჯერჯერობით მათია ბურთიც და მოედანიც პარლამენტში. დიდი სამთავრობო ცვლილებებიც არ ყოფილა. დიდი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, გახარიას უშვებენო, ის მაინც დარჩა პრემიერად. საუბრობენ იმაზეც, რომ ეს ვანო ჩხარტიშვილის გამარჯვებას ნიშნავს. რას იტყვით თქვენ „ოცნების“ კულუარებზე?

– რაც არ უნდა მარტო იყვნენ ამ მოედანზე, „ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება. ძალიან მალე, შესაძლოა, ერთმანეთს დაერიონ. ბიძინამ გაიმარჯვა, ვანო ჩხარტიშვილმა თუ პეტრემ, დღეს ამას მნიშვნელობა არ აქვს. დღეს ყველაზე და ყველაფერზე კორონა იმარჯვებს. ყველაფერი შეჩერებულია. შენელებული კადრივითაა ქვეყანა. ამ ფონზე კიდევ ამდენი არასწორი გადაწყვეტილება და უაზრო შეზღუდვები საბოლოოდ ანგრევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. ერთი რამ თვალშისაცემია ამ ქვეყანაში, ამ უბედურების ხარჯზე არიან ადამიანები, რომლებმაც ხელი მოითბეს და ძალიან გამდიდრდნენ. გაივსო ქალაქი ბოლო მოდელის ავტომობილებით, ძალიან ბევრმა ისეთი ძვირადღირებული ბინები შეიძინა, რომ რა გითხრათ. ეს დიდი უსინდისობაა, როდესაც ძალიან ბევრს შია და საჭმლის ფულის გარეშე დატოვეს.

– ბოლო დღეებია, შეზღუდვები გამარტივდა. ეს რამე შეღავათს მოგვცემს?

– არანაირს. ისევ ნახევარზომები, ისევ ალოგიკურობა და ისევ ყველაზე ღარიბი ფენის ხარჯზე გადავლა ხდება. ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ, ან ბოლომდე ჩაკეტონ, ან გახსნან. ასე სანახევროდ საქმე არ კეთდება. გადაირია ხალხი, აღარ იციან, რა ქნან, როგორ მოიქცნენ. ეს ნახევარზომები უარესია. საშინელ დღეშია ჩავარდნილი მომსახურების სფერო. წინასაახალწლო დღეებში აქტიურად მუშაობენ ხოლმე, რომ წლიდან წლამდე გარკვეული შემოსავალი მიიღონ. ახლა მათ ეს შეუზღუდეს. აბსოლუტურად ალოგიკური რაღაცები ხდება. ამას სჯობდა, საერთოდ დაეხურათ და ეთქვათ, დაიხურეთ და გადასახადებს არ გადაგახდევინებთო. ეს ნაწილობრივ გახსნა გაცილებით უარესია, რადგან ვერც შემოსავალს იღებენ და თან გადასახადებიც უნდა იხადონ. უმრავი ადამიანი დარჩა უმუშევარი. ძალიან მძიმე დღეები გველის, ძალიან და მაინც ვფიქრობ, რომ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია.

ზუგდიდში ავარიაში 5 ადამიანი დაშავდა

25 დეკემბერს ზუგდიდში, სოხუმის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ხუთი ადამიანი დაშავდა. თვითმხილველების ინფორმაციით, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. დაშავებულები ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ამ წუთებში მათ გამოკვლევები უტარდებათ, თუმცა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერჯერობით უცნობია.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

სამტრედიაში 30 წლის ბ.გ. მეზობლის მკვლელობისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ბ.გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 26 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ კორმაღალაში, მეზობლურ დავასთან დაკავშირებით, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში მყოფ მეზობელს – 1967 წელს დაბადებულ კ.ნ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბ.გ. მომხდარიდან რამდენიმე საათში საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

საქმე №010210620003487149
№2-616/2020

6434980992856
www.ecd.court.ge

გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

11 სექტემბერი, 2020 წ. **ქ. ბათუმი**

შესავალი ნაწილი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - სალიხ შაინიძე
სხდომის მდივანი - ნათია გოგმაჩაძე

განმცხადებელი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო
წარმომადგენელი - თეა სურგულაძე
მოთხოვნის არსი - ქონების უპატრონოდ ცნობა

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 249-ე, 257-ე, 310-ე, 311-ე, 337-ე და 341-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს განცხადება დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილი იქნეს უპატრონო ქონებად და საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს შემდეგი ნივთები:

1. 24.09.2018წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 100მ. თვლისზომა 22X22მმ.

2. 06.10.2018წ. კვარიათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 2,60მ. თვლისზომა 26მმ.

3. 07.10.2018წ. კვარიათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: კედლის სიმაღლე 1,80მ. თვლისზომა 35/35მმ.

4. 16.10.2018წ. ბობოყვათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 1,70მ. თვლისზომა 20მმ., სიგრძე 43მ.

5. 21.10.2018წ. მწვანე კონცხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 22მმ.

6. 24.10.2018წ. კვარიათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: კედლის სიმაღლე 2მ. თვლის ზომა 185/24/185.

7. 25.01.2019წ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 1,30მ. თვლისზომა 180/18/180.

8. 28.01.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 200მ. თვლისზომა 26X26მმ.

9. 01.02.2019წ. მახინჯაურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 60/80.

10. 05.02.2019წ. ჩაქვის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიგრძე 40მ., კედლის სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 40მმ.

11. 12.02.2019წ. ბობოყვათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 2მ. თვლის ზომა 200/60/200.

12. 15.02.2019 წანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 200მ. თვლის ზომა 100X100მმ.

13. 21.02.2019წ. მწვანე კონცხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 2მ. თვლის ზომა 300/40/300.

14. 05.03.2019წ. ჭოროხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 160/18/160.

15. 05.03.2019წ. ჭოროხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა ორი ერთმანეთზე გადაბმული ბადე პარამეტრები: სიმაღლე 1,70მ. თვლისზომა 18-16,5მმ.

16. 05.03.2019წ. ჭოროხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 1,30მ. თვლის ზომა 115/24/115მმ.

17. 05.03.2019წ. ჭოროხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: სიმაღლე 1,20მ. თვლის ზომა 160/18/160.

18. 06.03.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები:კედლისსიმაღლე 1,80მ. თვლის ზომა 18მმ.

19. 06.03.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: კედლისსიმაღლე 1,80მ. თვლისზომა 140მმ.

20. 10.03.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები:კედლის სიმაღლე 1,60მ. თვლის ზომა 18მმ.

21. 19.03.2019წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 50მ. თვლის ზომა 24X24მმ.

22. 09.04.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 5 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 200მ. თვლის ზომა 22X22მმ. 2. 150მ. თვლის ზომა 20X20მმ. 3. 50მ. თვლის ზომა 20X20მმ. 4. 25მ. თვლის ზომა 20X20მმ. 5. 25მ. თვლის ზომა 20X20მმ

23. 12.04.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ.

24. 13.04.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: კედლის სიმაღლე 1,50მ. თვლის ზომა 28მმ.

25. 13.04.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: კედლის სიმაღლე 1,80მ. თვლის ზომა 90მმ.

26. 14.04.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: კედლისსიმაღლე 3,00მ. თვლის ზომა 18მმ.

27. 29.04.2019წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 300მ. თვლის ზომა 100X100მმ.

28. 01.05.2019წ. ურეკის საზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 25მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 26X26მმ.

29. 05.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 100მ. თვლის ზომა 100X100მმ.

30. 05.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 30მ. თვლისზომა 20X20მმ.

31. 05.05.2019წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 40მ. თვლისზომა 24X24მმ.

32. 11.05.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 50მ. თვლის ზომა 20X20მმ.

33. 13.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 5 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 70მ. თვლისზომა 30X30მმ. 2. 50მ. თვლის ზომა 32X32მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 30მ. თვლის ზომა 32X32მმ. 5. 80მ. თვლის ზომა 30X30მმ.

34. 13.05.2019წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასა ხლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 100მ. თვლის ზომა 32X32მმ.

35. 12.05.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1000მ. თვლის ზომა 100X100მმ.

36. 14.05.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 20მ. თვლის ზომა 32X32მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 32X32მმ.

37. 16.05.2019წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 300მ. თვლის ზომა 30X30მმ.

38. 20.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლის ზომა 22X22მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 22X22მმ. 3. 30მ. თვლის ზომა 22X22მმ.

39. 21.05.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 600მ. თვლის ზომა 100X100მმ., ასევე 3 ცალი ზღვის კატადა 1 ცალი კამბალა (კალკანი).

40. 23.05.2019წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ

41. 27.05.2019წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 70მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 65მ. თვლის ზომა 32X32მმ.

42. 28.05.2019წ. შეკვეთილის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 50მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 70მ. თვლის ზომა 30X30მმ.

43. 28.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ.

44. 30.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 40მ. თვლის ზომა 20X20მმ.

45. 30.05.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 40მ. თვლის ზომა 26X26მმ.

46. 01.06.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 40მ. თვლის ზომა 30X30მმ

47. 01.06.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ 2. 40მ. თვლის ზომა 25X25მმ. 3. 60მ. თვლის ზომა 30X30მმ

48. 03.06.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ 2. 40მ. თვლის ზომა 24X24მმ

49. 04.06.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 80მ. თვლის ზომა 28X28მმ.

50. 05.06.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 60მ. თვლის ზომა 20X20მმ

51. 06.06.2019წ.ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 30მ. თვლის ზომა 24X24მმ.

52. 07.06.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 40მ. თვლის ზომა 24X24მმ.

53. 08.06.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასა ხლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 40მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 40მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 28X28მმ.

54. 08.06.2019წ. ფოთში, ნაბადასსაზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ.

55. 14.06.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 40მ. თვლის ზომა 24X24მმ.

56. 17.06.2019წ. განმუხური-ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 7 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 10მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 5. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 6. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 7. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ.

57. 04.07.2019წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 400მ. თვლის ზომა 150X150მმ.

58. 09.07.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლისზომა 28X28მმ. 2. 50მ. თვლისზომა 30X30მმ. 3. 25მ. თვლისზომა 26X26მმ.

59. 19.09.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 20X20მმ. 4. 20მ. თვლის ზომა 20X20მმ.

60. 27.09.2019წ. ნაბადასა და მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეული სოდენობით, პარამეტრები: 1. 100მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 4. 40მ. თვლის ზომა 20X20მმ.

61. 01.10.2019წ. სუფსის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 100მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 90მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 90მ. თვლის ზომა 28X28მმ.

62. 10.10.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ.

63. 14.10.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 100მ. თვლის ზომა 40X40მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 26X26მმ. 3. 100მ. თვლის ზომა 35X35მმ

64. 14.10.2019წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 70მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 30X30მმ

65. 15.10.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 7 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 100მ. თვლის ზომა 26X26მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 35X35მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 22X22მმ. 4. 20მ. თვლის ზომა 26X26მმ. 5. 10მ. თვლის ზომა 26X26მმ. 6. 10მ. თვლის ზომა 24X24მმ. 7. 10მ. თვლის ზომა 24X24მმ.

66. 16.10.2019წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 100მ. თვლის ზომა 35X35მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 26X26მმ. 3. 50მ. თვლის ზომა 40X40მმ.

67. 16.10.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 12 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 20მ. თვლის ზომა 20X20მმ. 5. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 6. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ. 7. 20მ. თვლის ზომა 24X24მმ. 8. 20მ. თვლის ზომა 20X20მმ. 9. 15მ. თვლის ზომა 20X20მმ. 10. 15მ. თვლის ზომა 20X20მმ. 11 15მ. თვლის ზომა 22X22მმ. 12. 15მ. თვლის ზომა 20X20მმ.

68. 17.10.2019წ. სუფსის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრები: 1. 120მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 30X30მმ.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №32), დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით ბათუმის საქალაქო სასამართლოს (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა #30) მეშვეობით.

4. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე **სალიხ შაინიძე**

თელავის პოლიციის უფროსის მოადგილე ვანო ზანდარაშვილი თელავის კლინიკის დირექტორ ზურაბ საჩიშვილის მკვლელობისთვის დააკავეს

25 დეკემბერს იყალთოში თელავის პოლიციის უფროსის მოადგილემ, ვანო ზანდარაშვილმა, თელავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი ზურაბ საჩიშვილი ქუჩაში 6 გასროლით მოკლა.

სავარაუდოდ, დაპირისპირების მიზეზი ურთიერთშელაპარაკება გახდა, რომელიც მოგვიანებით ქუჩაში გაგრძელდა. დაპირისპირებაში მონაწილე პირები არაფხიზელ მდგომარეობაში იყვნენ.

– სიმთვრალის ბრალი იყო... კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. სუფრაზე რაღაც მოხდაო და ამოიღო იარაღი, მოკლა. ჩემი შვილის მეგობარი იყო, ზურა საჩიშვილის მაღალი სიტყვა არ გამიგია. ჩამოყალიბებული პიროვნება იყო. სულ იმას ვფიქრობ, ისეთი სიტყვა როგორ თქვა, რომელიც ვიღაცას ეწყინა... რომ იტყვიან, მწერისთვის ფეხი არ დაუდგამსო, ეგეთი რამე შემიძლია ვთქვა მასზე, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი და მოკლულის ახლობელი.

ზურაბ საჩიშვილი და ვანო ზანდარაშვილი ერთმანეთს დავით ლაჩაშვილის დაბადების დღეზე შეხვდნენ.

– ორივე ჩემს დაბადების დღეზე იყო. სულ ხუთი ადამიანი ვიყავით სუფრაზე. იქ არანაირი შელაპარაკება არ მომხდარა, არც გაცილების მომენტში. ოთხივე ვანოს მანქანით წავიდნენ სახლში. გზაში რა მოხდა, არ ვიცი, – უთხრა „ამბებს“ დავით ლაჩაშვილმა.

– ჩემ გვერდით იჯდა ზურა სუფრაზე, არანაირი დაპირისპირება იქ არ მომხდარა. მერე რა მოხდა, არ ვიცი. ასევე დაჭრილია ლევან ბერძენიშვილი, ზურა კი, სამწუხაროდ, აღარ არის, – უთხრა დავით ლაჩაშვილმა რუსთავი 2-ს.

თვითმხილველების ინფორმაციით, თელავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორს სასიკვდილო ჭრილობა სამართალდამცველმა მანქანაში მიაყენა.

როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი აცხადებს, სროლის ხმა ღამე, 00:00 საათზე გაიგო.

– დაახლოებით 4-5-ჯერ გაისროლეს, შემდეგ მანქანიდან გადმოვიდნენ და ის ეუბნებოდა, რატომ მესროლე, მეც დამჭერიო? დედა შემაგინა და იმიტომ ვესროლეო. მანქანაში მოხდა ეს ამბავი.

მანქანის გაჩერების ხმა იყო, გაჩერდა მანქანა და მანქანაში ესროლეს, დაგუდული ხმა იყო, გარეთ ნასროლი არ იყო. მგონი, ოთხნი იყვნენ, ნასვამები იყვნენ და შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა ასეთი ამბავი, – აცხადებს თვითმხილველი მიხეილ მიქელაშვილი რუსთავი 2-თან საუბრისას.

თელავის მცხოვრებლებმა „რეგინფოს“ მოაწოდეს ინფორმაცია, რომ ვანო ზანდარაშვილი ქუჩაში არაერთხელ უნახავთ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სამსახურებრივი იარაღით.

ვანო ზანდარაშვილი 37 წლისაა. ჰყავს მეუღლე, ასევე 37 წლის სოფიო ლაჩაშვილი. ჯერჯერობით უცნობია, სოფიო ლაჩაშვილი და დავით

ლაჩაშვილი ნათესავები არიან თუ მხოლოდ მოგვარეები.

თავად დავით ლაჩაშვილი თელავის მერიის ყოფილი თანამშრომელია.

26 დეკემბერს პროკურატურამ ვანო ზანდარაშვილი დააკავა.

„პროკურატურამ კახეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე, შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ.ზ. შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის სახით დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება კახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

მიმდინარე გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 26 დეკემბერს, თელავის რაიონის სოფელ იყალთოში, ვ.ზ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით განზრახ მოკლა ზ.ს. შემთხვევის ადგილზე ასევე ურთიერთშელაპარაკებისას ხელის არეში დაიჭრა ლ.ბ.

საქმეზე ტარდება ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

გუშინ, 27 დეკემბერს, ვანო ზანდარაშვილს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

როგორც მისმა უფლებადამცველმა განაცხადა, დაკავებულს 108-ე განზრახ მკვლელობისა და 117-ე სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლებით წარედგინა ბრალი.

არჩილ ბერიანიძის თქმით, მტკიცებულებების ერთ ნაწილს უკვე გაეცნო, თუმცა საქმის დამატებით მასალებს პროკურატურაში წარუდგენენ, რადგან გამოძიების ფარგლებში, საქმის დამატებითი გარემოებები გამოიკვეთა. ის საქმის სხვა დეტალებზე არ საუბრობს.

თავად ვანო ზანდარაშვილი წარდგენილი ბრალდების შესახებ დუმილის უფლებას იყენებს.

გუშინვე თელავის რაიონულმა სასამართლომ ვანო ზანდარაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე მარინა ცერცვაძემ გამოაცხადა, რითაც დაკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა.

„ელიზა კალანდაძეს ნასვამმა ქმარმა ფული მოსთხოვა და უარის გამო დანით მოკლა“

23 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მკვლელობა მოხდა. მამაკაცმა ცოლი მოკლა. როგორც ადგილობრივები ყვებიან, კაცმა ცოლს დანა ესროლა, რომელიც მას არტერიაში მოხვდა.

მომხდარზე შსს-მ ასეთი განცხადება გაავრცელა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული მ.მ., ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, სამტრედიაში დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, ცივი იარაღით ყელის არეში ჭრილობა მიაყენა მეუღლეს – 1973 წელს დაბადებულ ე.კ.-ს და მიიმალა. დაჭრილი ქალი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მამაკაცი მომხდარიდან რამდენიმე საათში, საკუთარ სახლთან ახლოს, მიტოვებულ სახლში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

დაკავებული დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს“.

მოკლული ელიზა კალანდაძის ოჯახი დამნაშავის უმკაცრესად დასჯას ითხოვს. მათი თქმით, სიძემ დაჭრის შემდეგ მეუღლე შემთხვევის ადგილზე მიატოვა.

გარდაცვლილი კი მაზლმა დილით იპოვა. ოჯახის წევრების თქმით, გარდაცვლილი ქალი ოჯახში არსებულ კონფლიქტზე მათთან არასოდეს საუბრობდა, ამიტომ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ.

გარდაცვლილის ოჯახში აცხადებენ, რომ დაკავებული სისტემატურად სვამდა და, სავარაუდოდ, კონფლიქტი არაფხიზელ მდგომარეობაში მოხდა.

– ნასვამმა მეუღლეს სასმელისთვის თანხა მოსთხოვა და უარის შემდეგ დანა დაარტყა. დაკავებულისთვის სამუდამო პატიმრობას მოვითხოვთ, – ამბობენ ელიზა კალანდაძის ოჯახის წევრები.

შემთხვევა სამტრედიაში, იმერეთის ქუჩაზე მოხდა. გარდაცვლილი ქალის ცხედარი ოჯახმა ზესტაფონში, მშობლიურ სოფელ ძირულაში გადაასვენა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 577 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 577 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 93 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 484 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით, განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

39 წლის ს.მ. ნარკოტიკს ქალის კოსმეტიკის კოლოფებში ინახავდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ს.მ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკები: ნახევარ კილომდე „აღფა პვპ,“ ასევე, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალება „აღფა პვპ“-ს, შენიღბვის მიზნით, ქალის კოსმეტიკური საშუალებების კოლოფებში ინახავდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

პოლიციამ იმერეთში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ჯ.ე. დაკავეს. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ედება.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჯ.ე.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს: „მაუზერის“ სისტემისა და „ZORAKI“-ის მოდელის პისტოლეტები, 2 მჭიდი და 16 საბრძოლო ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

თამარ თორაძემ კელი დეგნანს ღია წერილით მიმართა

1992 წელს თბილისში ბანდიტურად დახოცილი თორაძეების ოჯახის ცოცხლად გადარჩენილმა ერთადერთმა წევრმა, თამარ თორაძემ, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს, ღია წერილით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ქალბატონ კელი დეგნანს და სთხოვა მას, განსაკუთრებული ყურადღებით მიადევნოს თვალი საგამოძიებო პროცესს, რომელშიც გამოძიების ფედერალური ბიუროც არის ჩართული და სადაც აშკარად ჩანს გიორგი რურუასა და მასთან ერთად გიორგი რამიშვილისა და ლერი სულაბერიძის ბრალი. თამარ თორაძის ღია წერილს საქართველოში აშშ-ის ელჩისადმი უცვლელად გთავაზობთ.

„თქვენო აღმატებულებავ, ქალბატონო ელჩო, დარწმუნებული ვარ, გეცოდინებათ, რომ ამ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „მთავარის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საკუთარ მონოლოგში გაიხსენა შეხვედრა აშშ-ის საელჩოში საქართველოში, სადაც, მის მოთხოვნაზე, ელჩი დახმარებოდა გიორგი რურუას ციხიდან გათავისუფლებაში, აშშ-ს საელჩომ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა, რომ გიორგი რურუა შეიარაღებული ბანდფორმირების ხელმძღვანელი გახლდათ.

მე მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, ამდენი წლის შემდეგ მაინც, საზოგადოება ერთი მხრივ, და პოლიტიკური კლასი და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები, მეორე მხრივ, მიდიან იმ დასკვნამდე, რაც არის რეალობა – დიახ, გიორგი რურუა იყო და არის შეიარაღებული ბანდფორმირების ხელმძღვანელი და მისი ადგილი სამუდამოდ ციხეშია და მათ შორის, ჩემი ოჯახის, ჩემი დედ-მამისა და ძმების დახოცვის გამო.

თუმცა, ქალბატონო ელჩო, მინდა იცოდეთ, რომ რურუა მარტო არასოდეს ყოფილა. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება, თუ დაინტერესდებით გიორგი რამიშვილისა და ლერი სულაბერიძის პიროვნებებით. გიორგი რამიშვილი, იგივე ზარალა, დღეს ქვეყანაში წარმატებული ბიზნესმენის სტატუსით სარგებლობს და მთავრობასთან „შენობით“ ლაპარაკობს. მეორე პიროვნება, ლერი სულაბერიძე, „სამართლიანობისთვის“ ბრძოლის ჭრილში ცდილობს საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას და ითხოვს ყველაზე ცნობილი ქართული საფეხბურთო კლუბის „თბილისის დინამოს“ წილების თაღლითურად დაკანონებას. მინდა იცოდეთ, რომ თავის დროზე ამ კლუბის ორი მფლობელი, ზაზა ვეფხვაძე და გია სვანაძე, თვითმხილველის ჩვენების მიხედვით, სწორედ გიორგი რურუას (ჟორიკა) მიერ არიან მოკლულნი, ხოლო რამიშვილი და სულაბერიძე ჩემი ოჯახის ტრაგედიის შემოქმედები არიან. მათ რურუასთან ერთად დახოცეს ჩემი დედ-მამა და ჩემი ძმები.

ქალბატონო ელჩო, ჩემი ოჯახის სასტიკი ჩახოცვის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს მთავარ პროკურატურაში და ჩემი ინფორმაციით, საქმეში ჩართულია აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროც. საქმეში დევს ასევე ჩემი ჩვენება, სადაც პირდაპირ ვასახელებ, რომ ჩემი დედ-მამის და ძმების მკვლელობა გიორგი რურუას, ლერი სულაბერიძის და გიორგი რამიშვილის ჩადენილია. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია საქმის შემდგომი მსვლელობა.

ქალბატონო ელჩო, მინდა იცოდეთ, რომ გიორგი რურუას მიერ პოლიტიკური აქტივობის დაწყებისას, ახალგაზრდულ ფრთასთან თანამშრომლობა და მათი დაფინანსება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან 90-იანების შემდეგ დაბადებული ახალგაზრდებისთვის, იმ ათეულობით მკვლელობის და უმძიმესი დანაშაულის შესახებ არსებული ინფორმაცია, რომელიც გიორგი რურუას, გიორგი რამიშვილის და ლერი სულაბერიძის ჩადენილია, მხოლოდ ქალაქური ლეგენდებია.

სამივე ზემოთ დასახელებულმა პირმა ყველა ხელისუფლების პირობებში მოახერხა მართლმსაჯულებისთვის თავის არიდება და იმედია ამჯერად მაინც, დიპლომატიური კორპუსი გაითვალისწინებს ამ პირების მიერ ათეულობით ოჯახისადმი მიყენებულ უმძიმეს ტრავმას და ტრაგედიას და საქმის მსვლელობას სათანადო მონიტორინგს გაუწევს.

ქალბატონო ელჩო, მინდა ამ ღია წერილით გთხოვოთ, გამოიჩინოთ ძალისხმევა, რათა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს თორაძეების მკვლელობის საქმეში არსებული ახალი დეტალები. ის, თუ რა შეიცვალა საქმეში აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ჩართვის შემდეგ. მინდა გთხოვოთ, რომ თქვენ იყოთ გარანტი იმისა, რომ ამჯერად მაინც აღარ იქცევა პოლიტიკური ვაჭრობის საგნად გაუგონარი სისასტიკით ჩადენილი დანაშაული და სამართალი, რომელიც ლამის უკვე 30 წელიწადია გზაშია, უახლოეს მომავალში აღსრულდება“, – ნათქვამია თამარ თორაძის მიერ საქართველოში აშშ-ის ელჩის სახელზე გავრცელებულ ღია წერილში.

საერთაშორისო

ევროპის ქვეყნებში კოვიდ 19-ის ვაქცინაცია დაიწყო

ევროპის ქვეყნებში კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაცია დაიწყო. გუშინ, 27 დეკემბერს, ვაქცინაცია დაიწყო გერმანიაში, იტალიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, ესპანეთსა და ბელგიაში.

ვაქცინაციის პირველ ეტაპზე ხანდაზმულები და სამედიცინო პერსონალი აიცრება, შემდეგ კი მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაციის პროგრამა დაიწყება.

– ჩვენ ამ რთულ წელს მნიშვნელოვანი მოვლენით ვასრულებთ, კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ევროპის თითოეულ ქვეყანაში იწყება. ვაქცინაცია ვირუსის დაძლევის ერთადერთი გზაა, – განაცხადა ევროკომისიის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

ევროკავშირის მოსახლეობა 450 მილიონს შეადგენს. ამ დროისთვის გაერთიანებაში ინფიცირებულთა რაოდენობა 16 მილიონია.

ავსტრიაში ლოკდაუნი უკვე მესამედ დაწესდა

ავსტრიაში კორონავირუსის პანდემიის გამო ლოკდაუნი უკვე მესამედ დაწესდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყნის ხელისუფლებამ დღესასწაულის განმავლობაში ვირუსის შემთხვევების ზრდის გამო მიიღო.

შეზღუდვები ავსტრიაში 24 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

ქვეყნის კანცლერ სებასტიან კურცის თქმით, 2021 წლის პირველი მეოთხედი ავსტრიაში რთული იქნება, თუმცა ზაფხულიდან მოსახლეობა ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდება, იქამდე კი ვაქცინაციას ავსტრიელთა დიდი ნაწილი შეძლებს.

ავსტრიაში პანდემიის დაწყების დღიდან კორონავირუსის 350.000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, ვირუსს 5.881 ადამიანი ემსხვერპლა.

თურქეთში 5,3 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

თურქეთში 5.3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. თურქეთის კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოს ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგები 27 დეკემბერს, 09:37 საათზე დაფიქსირდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ელაზიღის პროვინცია იყო. ასევე მიწისძვრა იგრძნობოდა მიმდებარე პროვინციებში.

პომპეიში 2.000 წლის წინანდელი ქუჩა აღმოაჩინეს

არქეოლოგებმა პომპეის ვულკანური ფერფლის ქვეშ ე.წ. ტერმოპოლიუმი, იგივე ცხელი საკვებისა და სასმელების სავაჭრო ქუჩა აღმოაჩინეს, რომელიც 2.000-ზე მეტი წლით თარიღდება და ამ დრომდე ვულკანური ფერფლით იყო დაფარული.

მკვლევართა გუნდმა პომპეის უძველეს ნაქალაქარში ის მზა საკვები პროდუქტებიც აღმოაჩინა, რომლებსაც ადგილობრივები რომაელ მოგზაურებს სთავაზობდნენ.

პომპეის არქეოლოგიური პარკის დირექტორ მასიმო ოსანას განცხადებით, თითქმის დაუზიანებელი სახით არის შემორჩენილი ის ნახატებიც, რომლებიც მაღაზიების ფასადებს ამშვენებდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

ბართომეუ ხმას ლაპორტას მისცემს

ესპანურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბარსელონის ექსპრეზიდენტი ხოსეპ მარია ბართომეუ იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემას ჟოან ლაპორტასთვის აპირებს.

როგორც პირინეელი ჟურნალისტები წერენ, ამის მიზეზი არა ლაპორტას მიმართ სიმპათია, არამედ იმის სურვილია, რომ არჩევნები ვიქტორ ფონტმა არ მოიგოს.

საქმე ის არის, რომ ფონტი ერთადერთი კანდიდატია, რომლის გამარჯვება ბართომეუსა და მის თანამოაზრეებს კატეგორიულად არ სურთ. ჰოდა, ბართომეუს გუნდი მზად არის, მხარი მის ნებისმიერ მეტოქეს დაუჭიროს. მოახლოებულ არჩევნებში კი, ფონტზე მეტი ხმის დაგროვების რეალური შანსი მხოლოდ ლაპორტას აქვს.

ყველაფრის მიზეზი ის სკანდალია, რომელმაც წინა ხელმძღვანელობის იმიჯი მნიშვნელოვნად დაზიანა.

როგორც იცით, ბართომეუს ბორდის მიერ იყო დაფინანსებული კამპანია, რომლის საშუალებითაც კლუბი ლიონელ მესის, ჟერარ პიკეს, ჩავი ერნანდესისა და კლუბის სხვა ლეგენდების დისკრედიტაციას ცდილობდა. ამ სკანდალს ვიქტორ ფონტის მიერ ბართომეუს მისამართით ღია შეტევა მოჰყვა, პროცესი უნდობლობის მოძრაობის დაწყებით გაგრძელდა და ხელმძღვანელობის გადადგომით დასრულდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მოშინაურებულმა ბეჰემოთმა პატრონი დაგლიჯა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პროვინცია ფრი-სგეიტში ბეჰემოთმა პატრონი მას შემდეგ დაგლიჯა, რაც ის ზურგზე შემოაჯდა.

40 წლის ფერმერსა და არმიის ყოფილ ოფიცერს, მაიორ მარიუს ელს მოშინაურებული ჰყავდა ბეჰემოთი, რომელსაც სახელად ჰამფრი დაარქვა.

ის ამბობდა, რომ ბეჰემოთი მისი სახელის დაძახებას ყოველთვის ეხმაურებოდა და მასთან თამაში უყვარდა. ელსი აცხადებდა, რომ ცხოველს ისე ექცეოდა, როგორც საკუთარ შვილს და კბილებსაც კი საკუთარი ხელით უწმენდდა.

– ეს ცოტა სახიფათოა, მაგრამ მე მას მთელი გულით ვენდობი და ვიცი, რომ არავის არაფერს დაუშავებს. ის ზურგზე შეჯდომის უფლებას მაძლევს და მასზე ამხედრებული ვსეირნობ. ერთად ვბანაობთ. ეს ისეთი ურთიერთობაა, რომელიც სხვებს არ ესმით. ისინი ფიქრობენ, რომ ასეთი ურთიერთობა მხოლოდ კატებთან და ძაღლებთან არის შესაძლებელი, – ამბობდა ფერმერი.

კვირას ექვსი წლის ბეჰემოთმა, სახელად ჰამფრიმ, პატრონი დაგლიჯა და იქვე ახლოს მდებარე მდინარე ვაალში ჩაითრია.

სასწრაფო დახმარების წარმომადგენელ ჯეფრი უიკსის თქმით, პარამედიკოსები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ და აღმოაჩინეს, რომ ცხოველს თავისი პატრონი ერთიანად დაკბენილი ჰყავდა, რის შედეგადაც ის დაიღუპა.

სანტა-კლაუსმა ქალაქს გადაუფრინა და ელექტროგადამცემ ხაზებში გაიბლანდა

ამერიკის კალიფორნიის შტატის საკრამენტოს ოლქში სანტა-კლაუსის ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა ქალაქ რიო ლინდს გადაუფრინა და ელექტროგადამცემ ხაზებში გაიბლანდა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი კვირას, 20 დეკემბერს მოხდა. მამაკაცმა, რომლის ვინაობა არ სახელდება, გადაწყვიტა სადღესასწაულო ატმოსფერო შეექმნა და ადგილობრივი მცხოვრებლები გაეხარებინა. მან ოლქს მოტოპარაპლანით სანტა-კლაუსის ფორმაში გამოწყობილმა შემოუფრინა და ელექტროგადამცემ ხაზებში გაიბლანდა.

– არ ინერვიულოთ! ის არ დაშავებულა... მას ძირს ჩამოსვლაში მეხანძრეები დაეხმარნენ, – დაწერა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე საკრამენტოს პოლიციის განყოფილების წარმომადგენელმა.

ვიქტორია ბექჰემი ვერცხლისწყლით მოიწამლა

ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მოთამაშის დევიდ ბექჰემის მეუღლე, მომღერალი და დიზაინერი ვიქტორია ბექჰემი ვერცხლის წყლით მოიწამლა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 46 წლის დიზაინერის ანალიზებმა დაადასტურეს, რომ მის ორგანიზმში მომწამვლელი ნივთიერების მაღალი შემცველობაა. ბოლო დროს მან საკუთარი კვების რეჟიმი შეცვალა და დიეტაზე დაჯდა. ის ძირითადად საკვებად თევზს, უმეტესად ხმალთევზას გამოიყენებდა. სწორედ ეს შეიძლება გამხდარიყო მისი მოწამვლის მიზეზი, ვინაიდან ის ძლიერ შხამიან შენაერთს მეთილვერცხლისწყალს შეიცავს.

ვიქტორია ბექჰემს ექიმებმა შხამისგან ორგანიზმის გასათავისუფლებლად ღვიძლის გამორეცხვა ჩაუტარეს. ამჟამად მომღერალი თავს შესანიშნავად გრძნობს. შეცვალა რაციონი და ამჯერად უპირატესობას ორაგულს ანიჭებს, ხოლო ხმალთევზას და სკუმბრიას რაოდენობა მენიუში მინიმუმამდე შეამცირა.

განძის მაძიებელმა ბრინჯაოს ფიგურა იპოვა და გამდიდრდა

რაინდის ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც ინგლისელმა განძის მაძიებელმა იპოვა, აუქციონზე ექსპერტების მიერ ნავარაუდევ ფასზე 15-ჯერ ძვირად გაიყიდა.

მოყვარულმა განძის მაძიებელმა 4,5 სანტიმეტრი სიმაღლის ფიგურა იმ დროს იპოვა, როდესაც ნორფოლკის საგრაფოს ქალაქ ბრედველის მახლობლად მინდორს ლითონმაძიებელი მოწყობილობით ათვალიერებდა. ნაპოვნი ნივთი VII საუკუნეშია დამზადებული და ცხენზე ამხედრებული რაინდის გამოსახულებას წარმოადგენს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის შესაძლოა სათამაშოდ გამოიყენებოდა, მაგალითად, ჭადრაკის მსგავს თამაშში. ხოლო მეორე ვერსიით, ასეთ ფიგურებს მომავალი ბრძოლის დასაგეგმავად იყენებდნენ.

აუქციონის ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ბრინჯაოს ფიგურა ექვსი ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდებოდა. თუმცა ვაჭრობის დროს ლოტის ფასმა 90 ათას ფუნტ სტერლინგს მიაღწია. ბრინჯაოს რაინდის მყიდველი გახდა კოლექციონერი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა და რომელმაც საერთო ჯამში დამატებითი შენატანების გათვალისწინებით 120 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. აუქციონისგან მიღებულ თანხას განძის მაძიებელი და იმ მინდორის მფლობელი გაიყოფენ, სადაც იქნა აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიგურა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ადეჰჯინ ჯოჯუტაძე 100 ნლის ბახდა

სწორედ ეს არის აღსანიშნავი, რომ საქართველოს პენსიონერთა კავშირის არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი, სახელმწიფო მოღვაწე, რომლის განვლილი გზა სამაგალითოა, 2000 წლიდან დღემდე ზრუნავს ასეულობით პენსიონერის კეთილდღეობაზე. ორგანიზაციის გამგეობა ღირსეულ მამულიშვილს, ბათუმის ქალაქკომის ყოფილ მდივანს, ქალაქ ბათუმის საპატიო მოქალაქეს, წლების განმავლობაში ბათუმის გამშვენიერებისათვის თავდადებულს, რომელიც ამავე დროს თბილისის საპატიო მოქალაქეცაა, დიდი სიყვარულითა და სიამაყით ულოცავს ამ სასიქადულო საიუბილეო დღეს.

ჩვენო ძვირფასო ხელმძღვანელო, ბატონო ადერკინ, გილოცავთ 100 წლის იუბილეს, გილოცავთ ახალ წელს.

ვულოცავთ თქვენს შვილებს, საერო საქმეში წარმატებულ ქალ-ვაჟს ნანასა და ირაკლის.

კვლავაც მრავალ წელს გაცოცხლოთ ზენამ!

პენსიონერთა კავშირის გამგეობა

სამართალი

პოლიციამ თბილისში იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის 2 კოვიდინფიცირებული მოქალაქე დააჯარიმა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, „კოვიდ 19“-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგს განაგრძობს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში 2 კოვიდინფიცირებული მოქალაქე: 1982 წელს დაბადებული ბ.ჯ. და 1985 წელს დაბადებული ა.კ. იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის დააჯარიმეს.

ბ.ჯ. კოვიდაღრიცხვაზე 2020 წლის 15 დეკემბრიდან იმყოფება, ხოლო ა.კ. – 20 დეკემბრიდან. ორივე მათგანზე სპეციალისტებმა თვითიზოლაციის რეკომენდაცია გასცეს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა მოქალაქეებმა თვითნებურად დატოვეს იზოლაციის ადგილი.

სამართალდამცველებმა კოვიდინფიცირებული ა.კ. იმ დროს დააჯარიმეს, როდესაც იგი ვარკეთილის დასახლებაში ავტომობილით გადაადგილდებოდა. რაც შეეხება კოვიდაღრიცხვაზე მყოფ ბ.ჯ.-ს, ის თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ქვეითად გადაადგილებისას დაჯარიმდა.

პოლიციამ ორივე კოვიდინფიცირებული მოქალაქე დააჯარიმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42-ე პრიმა-10 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის 2000-2000 ლარით. დაჯარიმების შემდეგ ისინი კოვიდსასტუმროში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, დაიცვან კანონი და დაემორჩილონ დაწესებულ რეგულაციებს.

საზოგადოება

ნინო სურგულაძე: „ომში ვართ“

– ასე მიაჩნია ოპერის მომღერალ ნინო სურგულაძეს და მთელ მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას ომს უწოდებს:

– ომში ვართ, მაგრამ განსხვავებულია ეს ომი სხვა წინამორბედებისგან. ომის დროს არავის ეკრძალებოდა შეკრება, ჩახუტება, ადამიანური სიახლოვე. დღეს ახალი წელი ყველაზე განსხვავებული და მძიმეა. რადგან ადამიანურობას არის მოკლებული. ახალი წელი ხომ შეკრების, ერთად აღნიშვნისა და სიხარულის დღესასწაულია.

ფსიქოლოგიური ომია ფაქტობრივად, რომელსაც ბევრი გაჭირვებით უძლებს. თავი რომ დავანებოთ სხვა ფიზიკურ კრიზისებს, ეკონომიკურსა თუ ჰუმანიტარულს, რით შეიძლება დაუპირისპირდე ამ უხილავ და, ამავდროულად, ვერაგ მტერს? რა იარაღით?

ვფიქრობ, ყველაზე დიდი იარაღი რწმენაა, რადგან მხოლოდ უფალთან არ არის მარტო ადამიანი, რადგან მან მოგვცა დიდი მაგალითი მოთმინების, როდესაც ჯვარს ეცვა უდანაშაულო ჩვენთვის.

მხნედ უნდა ვიყოთ და არ მივეცეთ სასოწარკვეთილებას, ჩვენი შვილებისთვის, ჩვენი მომავლისთვის. ეშმაკს ძალა აქვს, მაგრამ ვერასოდეს იქნება უფალზე ძლიერი! უფალს ჩავეჭიდოთ და მივენდოთ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და ახლა, სწორედ ახლა გვმართებს, დავანახოთ ერთმანეთს სითბო და დიდი, უკიდეგანო სიყვარული, რომელიც ასევე უფალმა გვიბოძა! უფალს ვებარებოდეთ! მიყვარხართ!

მერაბ აბრამიშვილის ნახატები კვიპროსის აუქციონზე გაიყიდა

სოთბის აუქციონის შემდეგ ქართველი მხატვრის მერაბ აბრამიშვილის ნახატები კვიპროსის აუქციონზეც გაიყიდა.

კვიპროსის აუქციონზე ქართველი ხელოვანის 3 ნამუშევარი იყიდეს: „საიდუმლო სერობა“, „ქერუბიმი“ და „მთავარანგელოზი“.

ინფორმაცია ბაია გალერეამ გავრცელა:

– ფასების საბოლოო ვერსია, გადასახადების ჩათვლით, ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ვწერთ აუქციონის ფასებს და მოგვიანებით გამოვაქვეყნებთ საბოლოო ფასებს გადასახადების ჩათვლით: „საიდუმლო სერობა“ – 55.000 ევრო, „ქერუბიმი“ – 17.000 ევრო, „მთავარანგელოზი“ – 28.000 ევრო.

მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები კვიპროსის კერძო კოლექციებში 2001 წელს ანი ლაღიძის მიერ ჩატარებული გამოფენის შემდეგ აღმოჩნდა. საერთაშორისო არტ მარკეტი და ქართული ხელოვნება ძალიან საინტერესო თემაა, მერაბ აბრამიშვილი კი მისი მუდმივი მონაწილეა.

ძველ შუამთას ლოჯია-აივანი მიადგეს

VI-VII საუკუნეების უძველეს უნიკალურ ძეგლს – ძველ შუამთას ლოჯია-აივანი მიადგეს.

ინფორმაცია და ფოტო ზურაბ დავითაშვილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– აი, ასე გამოიყურება დღეს VI-VII საუკუნეების ძველი შუამთა მიდგმული ლოჯია-აივნით. საინტერესოა, რას ფიქრობენ კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოში. თუ ეს ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფო ვერ ჩაერევა ეკლესიის საქმეებში?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქუთაისი ისევ დაუმარცხებელია

კაკტუსი-ქუთაისი 78:101

(19:21, 22:20, 12:28, 25:32)

სუპერლიგას ერთი დაუმარცხებელი გუნდი ჰყავს – ქუთაისი. რიონის-პირელებმა ზედიზედ მე-8 მოგება იზეიმეს და პოტენციური ლიდერები არიან.

ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში შედგა, რომელიც 41:41 დასრულდა. შესვენების შემდეგ კოტე ტულუშის გუნდმა დაცვა გაამაგრა, ქულებიც მოიხვეჭა და ბოლო მეოთხედს 16-ქულიანი უპირატესობით შეხვდა. ასეთ დროს კი, იმერული გუნდი თამაშს აღარ აგებს და არც ამ მატჩის ბოლომდე მიყვანა გასჭირვებია.

თანაც ეს ყველაფერი ისე გაახერხა, რომ ერთ-ერთ ლიდერს, აკაკი დვალიშვილს თამაში არ წაუვიდა – ქუთაისელთა ცენტრმა თამაშიდან ნასროლი 8-ვე სროლა გააცუდა და მხოლოდ საჯარიმოებით მოპოვებულ 2 ქულას დასჯერდა. თუმცა, სხვებმა იყოჩაღეს და რიონისპირელთა 6 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს. მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი კი კაკტუსელი დარიუს უილიამსის ანგარიშზეა – 15 ქულა, 12 მოხსნა.

რუსთავი-ტიტები 89:82

(22:17, 25:22, 18:20, 24:23)

ერთი წაგების მქონე რუსთავმა მორიგი გამარჯვება მიითვალა და ნელ-ნელა ცხრილის ზედა ნაწილისკენ ადის. არადა, პოტენციურად მხოლოდ ქუთაისს ჩამორჩებიან, მაგრამ თამაშები აქვს თადარიგში.

ტიტები ქვემოქართლელებს კი ებრძოდა, მაგრამ ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა აკადემიურ სტილში მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

ორივე გუნდში ლეგიონერები გამოირჩეოდნენ, მაგრამ აღსანიშნავია რუსთაველი გიორგი თვალაბეიშვილის თამაში, რომელმაც 8-დან 8 ორქულიანი და 8-დან 8 საჯარიმო ჩააგდო და ჯამში 24 ქულას მოუყარა თავი. ქვემოქართლელმა მაიკლ დევისმა 18 ქულას, 10 მოხსნასა და 7 პასს მოუყარა თავი, ხოლო მალიკ უაითმა 16 ქულას 7 მოხსნა და 9 პასი წაამატა. დამარცხებულთაგან ყველაზე ეფექტური ჯორდონ თალი იყო – 16 ქულა, 8 მოხსნა, 11 პასი. ტაილან ბირტსმა (20 ქულა, 10 მოხსნა) და ბრენდან აუგბორდსმა (13 ქულა, 10 მოხსნა) კი ორმაგი დუბლები მიითვალეს.

თსუ-დინამო 104:102 (2ოტ)

(23:10, 20:27, 21:24, 14:17, 15:15, 11:9)

ლექსო ლაფანაშვილის გუნდმა მიმდინარე სეზონის ყველაზე დაძაბულ, 2 ოვერტაიმსა და დრამატიზმით სავსე მატჩში მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილი დინამო 2 ქულით დაამარცხა. ძირითადი დრო 78:78 დასრულდა, პირველი ოვერტაიმის შემდეგ ისევ ფრე – 93:93 იყო და მხოლოდ მეორე ექსტრაპერიოდის შემდეგ დაფიქსირა თსუ-მ სასურველი ანგარიში – 104:102.

დინამომ წინა ტურში დაუმარცხებელი რუსთავი საკუთარ მოედანზე დაჩაგრა და იქიდანვე ცხადი იყო, რომ სტუდენტებთან დაპირისპირებაში მოედანზე გაათმაგებული მოტივაციით გავიდოდა. რუსთაველებთან გამარჯვებით დინამოელებმა საკუთარი ძალების ირწმუნეს და თსუ-სთან დიდი ბრძოლისუნარიანობაც გამოავლინეს, თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით.

მატჩი თსუ-მ დამაჯერებლად დაიწყო და კომფორტული სხვაობითაც დაწინაურდა. დინამოელებმა ანგარიშის შემცირება ეტაპობრივად მოახდინეს და ტაიმი მხოლოდ 37:43 დათმეს. თსუ მუდმივად წინ იყო და მეტოქეს წინ გასვლის შესაძლებლობას არ აძლევდა, მაგრამ მე-4 პერიოდის დასაწყისში მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილი გუნდი მაინც გალიდერდა. ეს მოხდა მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე და ამის შემდეგ მთელი შეხვედრა ქულა-ქულაში წარიმართა. ძირითადი დროის დასრულებამდე 9 წამით ადრე დინამოელები 78:75 იგებდნენ.

ბურთი თსუ-მ შემოიტანა და დინამოს ტაქტიკური ჯარიმის აღებაც შეეძლო, როდესაც თსუ-ს 2 საჯარიმოს გამოყენებისას ბურთი დინამოელებს დარჩებოდათ და თანაც ანგარიშში უარეს შემთხვევაში 1 ქულით წინ იქნებოდა, მაგრამ ბრენდონ სლაიმ მოედანი უსწრაფესად გადალახა და პერიმეტრზე უმეთვალყურეოდ დარჩენილ მიხეილ ჭოჭუას უპასა, რომელმაც შორეული 3-ქულიანი ჩასვა – 78:78.

უდაძაბულესი გამოდგა პირველი ოვერტაიმი. 5 წუთის ამოწურვამდე 7 წამი იყო დარჩენილი და თსუ 93:90 იგებდა. დინამომ შეტევა გააფუჭა, მაგრამ ალონზო უოკერმა ბურთი მოხსნა, ხოლო ბრაის სმიტმა უხეში შეცდომა დაუშვა – უოკერს 2 ქულა ჩააგდებინა და დაჯარიმდა, რასაც ზუსტი საჯარიმო და მე-2 ოვერტაიმი მოჰყვა, რომელიც იმავე სცენარით წარიმართა და კვანძი მხოლოდ დასრულებამდე 10 წამით ადრე გაიხსნა, როდესაც დინამო 102:101 იგებდა.

ბრენდონ სლაიმ პერიმეტრზე ბურთი მაიზერ რევაზაშვილს მიაწოდა, რომელსაც, ამპლუიდან გამომდინარე, 3-ქულიანების ჩაგდება ნაკლებად ევალება, მაგრამ შორეული სროლით საბოლოო ანგარიში 104:102 დააფიქსირა.

თსუ-სგან ვინმეს გამორჩევა რთულია, მთელმა გუნდმა საოცარი მატჩი ჩაატარა. სტატისტიკას თუ ჩავხედავთ, აქ ყველაზე კარგი შედეგი მძიმე ფორვარდს ქუენთინ დავს აქვს – 23 ქულა, 13 მოხსნა. 19 ქულით დაასრულა შეხვედრა მიხეილ ჭოჭუამ, ბრაისონ სმიტის ანგარიშზე კი 16 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა. დინამოში 27 ქულით საუკეთესო ლუკა ბულაშვილი იყო. ტაილერ უილიამსმა – 24, ხოლო ნიკოლოზ დარბაიძემ 18 ქულა მოაგროვეს. ამრიგად, თსუ-მ პირველი წრე 10-დან 7 გამარჯვებითა და 17 ქულით დაასრულა.

ლექსო ლაფანაშვილის გუნდი სატურნირო ცხრილის ლიდერია, მაგრამ მეტოქეებს ჯერაც ჩასატარებელი აქვთ გამოტოვებული მატჩები.

ოლიმპი-მგზავრები 81:79

(20:16, 23:21, 17:22, 21:20)

ტრილერის მსგავსი თსუ-დინამოს მატჩის შემდეგ გამართული მეორე შეხვედრაც ძალიან დაძაბული გამოდგა. მატჩის ბედი ერთმა სროლამ გადაწყვიტა, რომელიც, ოლიმპის გასახარად, კახა ჯინჭარაძემ შეასრულა. ამ ზუსტი 3-ქულიანით ოლიმპმა მგზავრები 81:79 დაამარცხა. დავით როგავას კი, რომელმაც მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიმიტრი ჯაკობოვი შეცვალა, 3 მატჩიდან 2 გამარჯვება აქვს.

აღსანიშნავია, რომ სუპერლიგაში დაძაბული მატჩები მომრავლდა და ამ ფაქტორს, გარკვეულწილად, დონის ამაღლებაც მოსდევს. ყველა კალათბურთელი უდიდესი მონდომებით თამაშობს და იბრძვის. ახალგაზრდებს მოტივაცია განსაკუთრებით გაუძლიერდათ მას შემდეგ, რაც ბოლო პერიოდში საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი სიტუაციის გამო ეროვნულ ნაკრებს სუპერლიგის მოთამაშეთა დახმარება სულ უფრო მეტად სჭირდება. ბოლო წლებში ეროვნულ გუნდში არაერთი მოთამაშე მოხვდა ქართული კლუბებიდან და გასულ სანაკრებო ფანჯრისას ილიას ზუროსის გუნდში რეკორდულად ბევრი – 8 სუპერლიგელი იყო. ამან, ცხადია, გავლენა იქონია იმ მოთამაშეებზე, რომლებსაც ნაკრებში მოხვედრის ამბიცია აქვთ და მათი ყოჩაღი გარჯა თამაშებსაც დადებითად დაეტყო.

დავუბრუნდეთ ოლიმპისა და მგზავრების დაძაბულ მატჩს, რომლის გმირიც ერთ-ერთი პირველია, რომელიც თავის დროზე ილიას ზუროსის ფორმაციის საქართველოს ნაკრებში მოხვდა. ჯინჭარაძემ მგზავრებთან მატჩში თავი განსაკუთრებულად გამოიჩინა. იმის გარდა, რომ საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე გამარჯვების 3-ქულიანი ჩააგდო, მანამდე, მთელი თამაშის განმავლობაში, თავის გუნდს ლიდერობდა და ჯამში თავი 35 ქულას მოუყარა.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი მგზავრები ბოლო ადგილზეა, მაგრამ ამ გუნდს დიდი ბრძოლისუნარიანობა გააჩნია და ნებისმიერ მეტოქესთან ტოლსწორად იბრძვის. ამის დასტური ბოლო წამზე წაგებული ბოლო 2 მატჩია. შეგახსენებთ, რომ ბერიშვილის გუნდმა წინა შეხვედრა ცხუმ-აფხაზეთთან ბოლო წამზე ალექსანდრე ფევაძესგან მიღებული ორქულიანით წააგო.

ჯინჭარაძის კვალზე ოლიმპში 13 ქულითა და 6 პასით ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი წევრი, ოთარ ფხაკაძე გამოირჩა. ბუნდუ აბდულაიმ 12 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. მგზავრებში 23 ქულითა და 9 პასით საუკეთესო იყო ჯეიდონ კოჰი, 20 ქულა და 10 მოხსნა ტეილორ ედვეიმ მიითვალა.

ვერა-ცხუმ-აფხაზეთი 67:75

(19:18, 14:26, 18:19, 16:12)

ეს მატჩიც დაძაბულად დაიწყო – გუნდები ქულა-ქულაში მისდევდნენ ერთმანეთს. მხოლოდ მე-2 პერიოდის ბოლოსკენ ცხუმელებმა გაქცევა მოაწყვეს და ტაიმი 11 ქულით მოიგეს – 44:33.

შესვენების შემდეგ ცხუმელები ძირითადად 8-12 ქულის სხვაობით იგებდნენ და მოედანზე სიტუაციას აკონტროლებდნენ. საბოლოოდ სწორედ 8 ქულით მოიგეს და ეს ცხუმელთა სათადარიგოთა სკამის დამსახურებაა. ძირითადი ხუთეულის კალათბურთელებმა სულ 28 ქულა აიღეს, მაშინ, როდესაც შეცვლაზე შესულებმა 47 ქულა მოინაგრეს.

გამარჯვებულთა შორის რაჰიმ ჯონსონმა 20 ქულა და 12 მოხსნა მოინადავლა, კარგად ანაწილებდა ბურთს ტაილერ გრინი, რომელმაც 12 ქულას 7 პასიც დაურთო. ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა ალექსანდრე ფევაძეს (11 ქულა, 9 მოხსნა). საერთოდ, ცხუმელთა 10-ვე კალათბურთელმა, რომლებიც მოედანზე გავიდნენ, ქულები მოიხვეჭეს.

1.თსუ	10	7	3	862-841	17
2.ქუთაისი	8	8	0	802-662	16
3.ცხუმი	9	6	3	754-676	15
4.რუსთავი	7	6	1	615-526	13
5.ტიტები	9	4	5	732-737	13
6.ვერა	9	3	6	673-741	12
7.ბათუმი	9	3	6	765-839	12
8.კაკტუსი	9	3	6	652-721	12
9.ოლიმპი	9	3	6	670-723	12
10.დინამო	8	3	5	720-746	11
11.მგზავრები	7	1	6	558-591	8

სანტოსი მესის რეკორდს არ აღიარებს

ვალიადოლიდთან გატანილი გოლის შემდეგ ლიონელ მესი ერთი გუნდის მაისურით მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა. ლეომ ბრაზილიელი ლეგენდის, პელეს რეკორდი მოხსნა, რომელსაც სანტოსის შემადგენლობაში მეტოქეები 643-ჯერ ჰყავს დამწუხრებული.

რეკორდი მთელმა მსოფლიომ აღიარა, მათ შორის პელემაც, რომელმაც მესის ემოციურად მიულოცა.

თუმცა, როგორც ირკვევა, რეკორდს ყველა არ აღიარებს. პელეს ყოფილმა გუნდმა, სანტოსმა, ახლახან განცხადება გააკეთა, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ბრაზილიელს ამ გუნდის მაისურით არა 643, არამედ 1091 გოლი აქვს გატანილი.

გთავაზობთ სანტოსის განცხადებას:

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში პრესასა და სოციალურ მედიაში პელეს მიერ სანტოსის მაისურით გატანილი გოლების რაოდენობაზე ბევრი დაიწერა. ზოგიერთი სტატისტიკოსის ცნობით, ერთი გუნდის მაისურით გატანილი გოლებით რეკორდსმენი გახდა არგენტინელი ლიონელ მესი, რომელმაც ბარსელონის მაისურით 644 გოლი გაიტანა. ამ სტატისტიკაში გათვალისწინებული არაა ამხანაგური თამაშები, ანუ ჩათვლილია მხოლოდ, როგორც მას ზოგიერთი უწოდებს, ოფიციალური გოლები.

პელემ ბარსელონის 10 ნომერს უკვე მიულოცა: ჩვენი მსგავსი ისტორიები, რომლებიც ერთი კლუბის სიყვარულს ეხება, სამწუხაროდ, ფეხბურთში უკვე ძალიან იშვიათია – დაწერა სოციალურ ქსელში „მეფემ“. პრესის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კი პელეს სანტოსის შემადგენლობაში ტურნირებზე გატანილი 643 გოლი ჩაუთვალა, მაგრამ არ ჩაუთვალა ამხანაგურ ტურნირებზე გატანილი 448 გოლი, თითქოს ისინი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს.

448 გოლი, რომლებსაც დღეს არ თვლიან, პელემ გრანდების წინააღმდეგ გაიტანა. მექსიკის ამერიკამ და ჩილეს კოლო კოლომ მისგან 9-9 გოლი გაუშვეს. 8 გოლი გაუშვა მილანის ინტერმა, გასული საუკუნის 60-იან წლებში ევროპის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა. სიაში ასევე შედიან რივერ პლეიტი, ბოკა ხუნიორსი, რასინგი, უნივერსიდად ჩილე, რეალი, იუვენტუსი, ლაციო, ნაპოლი, ბენფიკა და ანდერლეხტი, ხოლო თავად ბარსელონამ, რომელსაც მესი ამჟამად წარმოადგენს, პელესგან 4 თამაშში 4 გოლი გაუშვა.

ანალიტიკოსებს ასევე აქვთ არგუმენტი, რომ ამ 448 გოლიდან ბევრი გატანილია ამხანაგურ მატჩში, სუსტი და რეგიონალური მასშტაბის მეტოქეების წინააღმდეგ. ასეც რომ იყოს, თამაშები ჩატარდა ოფიციალური ფორმებით და ოფიციალური წესებით. უნდა შეგახსენოთ, რომ იმ დროს გუნდები ამხანაგურ შეხვედრებს მხოლოდ რეგიონალური და ეროვნული ფედერაციების ნებართვით ატარებდნენ. ეს წესი დადგენილი იყო ფიფას მიერ. მეტოქის სისუსტე სტატისტიკის ანალიზისთვის იდეალური მსაზღვრელი არ არის. ეიბარის კარში გატანილი გოლი სტატისტიკურად ვალენსიის კარში გატანილ გოლს უდრის. ტრანსვაალის (სურინამული გუნდი) კარში გატანილ გოლს იგივე ფასი აქვს, რაც რეალის კარში „სანტიაგო ბერნაბეუს“ ცენტრიდან გატანილ გოლს.

ბრაზილიის მიერ მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის მოგების შემდეგ ამხანაგური მატჩები ბრაზილიური კლუბებისთვის ფეხბურთელების შესანარჩუნებლად მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. ევროპული კლუბების უდიდესი ინტერესის მიუხედავად, ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც პელე, პეპე, ზიტო და კოუტინიო არიან, მაინც სანტოსში რჩებოდნენ.

გარდა ამისა, სანაკრებო ფეხბურთის სტრუქტურა განსხვავებული იყო. არ არსებობდა ფიფას მიერ დადგენილი თარიღები. კლუბები ფეხბურთელებს დიდი ხნის განმავლობაში ელეოდნენ. პელეს სანტოსის 2-2 თვით დატოვება მოუხდა 1962, 1966, 1969 და 1970 წლებში.

ამ განცხადების შემდეგ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ლეგენდარული ტელმო სარას ოჯახის განცხადება. როდესაც მესიმ სარას რეკორდი დაამხო, ესპანელის ოჯახი ირწმუნებოდა, რომ რეკორდი ისევ ტელმოს ეკუთვნოდა, რადგან მან 251 გოლი უფრო ნაკლებ თამაშში გაიტანა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ბიძინა სიჭინავას ხსოვნას

ბიძინას გარდაცვალება მოულოდნელი ელდა იყო თანაკლასელებისთვის. წარმოუდგენლად მშრომელი, მოძრავი, ცოცხალი და თავდადებული კაცი უცებ გაქრა და თავისი ღამაზი ცისფერი თვალებით ცისფერ ზეცაში გაუჩინარდა.

ბიძინას სიცოცხლე უყვარდა, ოჯახი და მეგობრები უყვარდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდული შემართებით უნდოდა, ყველასათვის გაეზიარებინა თავისი სიყვარული, დაეგემოვნებინა თავისი დაწურული ღვინო და ეჩუქებინა სიხარული. თანაკლასელებს ძალიან გვწყდება გული, რომ საკადრისად ვერ დავიტირეთ, მაგრამ მისი სახელი და შემართება დიდხანს გვემახსოვრება. ბიძინასა და ლიას ცოლქმრული სიყვარული უიშვიათესია. მისი სეხნია შვილიშვილი მომავალშიც მიაღწევს წარმატებებს, რითაც ბიძინას სახელი და გვარი კვლავ გაჟღერდება და ვიამაყებთ, რომ მისი მეგობრები ვიყავით. იძინე მშვიდად, ჩვენო ბიძინა!

თანაკლასელების სახელით, მზია ჩაჩავა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. დარბაზის ფეხბურთი; 3. უფროს მეთაურთა სამხედრო ჩინი; 4. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 6. უძველესი აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი, ვიწრო ხის ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. გორგოლაჭიანი ტრანსპორტიორი; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. ქართველ ქალთა ცეკვა; 19. პოლიტიკური მოწოდება, მოთხოვნა; 21. ღვინის სასმისი; 22. ქულა ძიუდოში.

თარაზულად: 1. გოეთეს ტრაგედია; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 7. უკრაინული ცეკვა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ყველაზე დიდი მდინარე აზიაში; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 25. კლდიდან, მიწიდან გადმომდინარე წყლის ნაკადი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დეკადანსი; 2. ბოსფორი; 3. პიკეტი; 4. სალდო; 5. ანანდი; 11. ბლენდა; 12. ფრანკი; 14. ტუში; 16. უიარაღო; 17. ოჯალეში; 19. რემისია; 21. ქართუ; 22. ქაოსი.

თარაზულად: 6. სალადონი; 7. კრაზანა; 8. დრონი; 9. ადაჟიო; 10. ტუმბო; 12. ფსიტი; 15. გუგენჰაიმი; 18. პარკერი; 20. ჯინი; 21. ქაშაყი; 23. კომპრომისი; 24. შუამთა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ეფემერა; 3. ანეკდოტი; 5. აკვალანგი; 5. მალკო; 6. იადონი; 8. ტანინი; 11. სკიპტრა; 14. ადამაშვილი: 15. ყარაყუმი; 16. შემოქმედი; 17. გილდია; 19. პუდინგი; 21. ბიეფი; 22. კრუზი.

თარაზულად: 1. ტერაკოტა; 5. მილი; 7. ბეტისი; 9. ზედელაშვილი; 10. დესანტი; 12. ინდიანა; 13. ტონიაცი; 16. შორაპანი; 17. გიდი; 18. სპერი; 20. ღვარცოფი; 22. კრუპი; 23. კიელინი; 24. ენგური; 25. ფეოლა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2699

ევრო — 3.9870

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4340

100 რუსული რუბლი — 4.4255

ამინდის პროგნოზი 28 დეკემბრისათვის

ხოსეპ გვარდიოლა: „დაცვაში კარგად ვითამაშეთ“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ ნიუკასლთან მატჩი შეაფასა და თქვა, რომ მისმა გუნდმა დაცვაში კარგად ითამაშა და ძალიან უხარია, რომ ამ კომპონენტში მანჩესტერ სიტი უფრო ძლიერი გახდა:

– წინა შეხვედრაში დაცვაში პრობლემები გვქონდა და ამის გამო დასანანი გოლები გავუშვით, რის გამოც ქულები დავკარგეთ. ამჯერად ასე არ მოხდა და მიხარია, რომ პროგრესი გვაქვს. წინ მნიშვნელოვანი მატჩებია, რომლებშიც ქულები არ უნდა დავკარგოთ.

არტეტა: „ჩელსისთან გამარჯვება დავიმსახურეთ“

არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ ჩელსისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა და ანგარიში თამაშის მიმდინარეობას ზუსტად ასახავს.

არსენალმა 3:1 მოიგო და სატურნირო მდგომარეობა შედარებით გამოისწორა.

– პირველი ტაიმი იდეალურად ჩავატარეთ და მეტოქეს არავითარი შანსი არ დავუტოვეთ. მეორე ტაიმში შეცდომები დავუშვით, მაგრამ მთავარი შედეგია და მიხარია, რომ გამარჯვება შევძელით, – აღნიშნა არტეტამ.

კუმანი: „მესისთან კარგი ურთიერთობა მაქვს“



ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და იმედოვნებს, რომ ლეო ბარსელონას არ დატოვებს. კუმანის აზრით, მესის რამდენიმე წელიწადი შეუძლია მაღალ დონეზე თამაში:

– მესი უკვე ძალიან ახალგაზრდა აღარ არის და ესმის, რომ ზოგჯერ დასვენება სჭირდება, ამიტომ ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში არ იქნება. მესისთან კარგი ურთიერთობა მაქვს და იმედი მაქვს, ის ბარსელონაში დარჩება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ამერიკელებს რაციონში პითონის ხორცის შეტანას ურჩევენ



ამერიკის ფლორიდის შტატის მაცხოვრებლებს საკუთარ რაციონში პითონის ხორცის ჩართვას ურჩევენ. ადგილობრივ ხელისუფლებას ამგვარად სურს რეგიონში ამ სახეობის გველის პოპულაციის გაკონტროლება.

პითონებმა აქტიურად დაიწყეს გამრავლება შტატის სამხრეთ ნაწილში მდებარე ევერგლეიდსის ეროვნულ პარკში. მათი პოპულაცია იმდენად გაიზარდა, რომ ცხოველების სხვა სახეობებს გადაშენებით ემუქრება.

ამჟამად მეცნიერები ატარებენ კვლევებს იმის დასადგენად, თუ რა რაოდენობის ვერცხლის წყალს შეიცავს გველის ხორცი. თუ აღმოჩნდება, რომ ის ადამიანისთვის უსაფრთხოა, სპეციალისტები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს შტატის მცხოვრებლების რაციონში პითონის ხორცის ჩართვასთან დაკავშირებით.

მანამდე კი სპეციალური კომისია ადგილობრივებს გველების განადგურებისკენ მოუწოდებს და ასევე სთხოვს, რომ პითონების აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო სამსახურებს აცნობონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 დეკემბრისათვის



ვერძი – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კურო** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანკალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

პოლიკლინიკიდან სამი ექიმი გამოვიდა. კბილის ექიმი ამბობს:

– ღმერთო ჩემო, ჰაერი! სუფთა ჰაერი!

პათოლოგოანატომი:

– ხალხი, ცოცხალი ადამიანები დადიან!

გინეკოლოგი:

– და, რაც მთავარია, სახეები! ს-ა-ხ-ე-ე-ბ-ი!!!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩვენი სასწორი სასწრაფოდ ხელოსანს წაუღე!

– და რა მოხდა?

– ისევ წინ მიდის ხუთი კილოთი...

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– მე შენთვის კონკიასავით ვარ – გილაგებ, გირეცხავ, საჭმელს გიმზადებ.

– მერე, რა გინდა, ხომ გეუბნებოდი, რომ ისე იქნებოდი, როგორც ზღაპარში.

●●●

ერთი ექიმი მეორეს ეკითხება:

– კოლეგავ, მედიცინის რომელი სფეროს სპეციალისტი ხარ?

– პროქტოლოგი.

– მე გინეკოლოგი.

– გამოდის, მეზობლები ვყოფილვართ...

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– ან გავაკეთებთ ისე, როგორც მე ვთქვი...

– ან?

– ან როგორც ვთქვი, ისე გავაკეთებთ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლექს სენი გაქურდეს

რეპერი ლექს სენი – ლექსო ქავთარაძე გაქურდეს. დილით ეზოში ჩასულს მანქანის ნაწილი მოპარული დახვდა.

მომღერალმა ინფორმაცია სოციალურ ქსელში გაავრცელა და შესაბამისი ვიდეოც დადო. როგორც რეპერმა განაცხადა, პატრულში დარეკა და საქმის ვითარება აცნობა, თუმცა რამდენიმესაათიანი ლოდინი მოუწია, სანამ პატრულის თანამშრომლები მასთან მივიდოდნენ. ლექს სენის თქმით, პატრული ურეკავდა და ეკითხებოდა, ძვირიანი ნაწილი მოიპარეს თუ არა.

ლენუკა ყიფშიძე ავარიაში მოყვა

მოდელი ლენუკა ყიფშიძე ავარიაში მოყვა. ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში მოდელმა თავად გაავრცელა:

– მადლობა ღმერთს, გადავრჩი. მთავარია, გადავრჩი და არაფერი ცუდი არ მჭირს. ერთი ვიცი, რომ უფალს ვუყვარვარ.

ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ გამარჯვებულები დააჯილდოვა

ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ 2020 წლის ფინალისტებიდან გამარჯვებულები დააჯილდოვა.

ნომინაციაში წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი გაიმარჯვა მაია ცირამუამ „მშვიდობით, ძია გერშვინ“.

ნომინაციაში წლის საუკეთესო ლიტერატურული პიესა – ალექს ჩიღვინაძემ „მარია რევია“.

ნომინაციაში წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – რამაზ ჭილაიამ „პოეტიკური ჩანაწერები“.

ნომინაციაში წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა – შორენა ლებანიძემ „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“.

ნომინაციაში წლის საუკეთესო ქართული თარგმანი – ელზა ახვლედიანმა მიგელ დე სერვანტესის „ალჟირელ მეკობრეთა ტყვე“.

ნომინაციაში წლის საუკეთესო პროზაული კრებული – მამუკა დოლიძემ „გასეირნება დროთა სივრცეში“.

ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებული – ტარიელ ჭანტურიამ – „სიყვარულის შავი ყუთი 3“ და ბესიკ ხარანაულმა „დიდი სმა“.

პრემია ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პოეტ ბათუ დანელიას გადაეცა.



არჩილ სოლოღაშვილი და ნუცა ქავთარაძე მშობლები გახდებიან

რვაწლიანი ქორწინების შემდეგ მსახიობი არჩილ სოლოღაშვილი და ჟურნალისტი ნუცა ქავთარაძე მშობლები გახდებიან.

მათ სულ მალე ბიჭი შეეძინებათ. ეს სასიხარულო ინფორმაცია მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ნუცა ქავთარაძე ეკრანებიდან გაქრა და „იმედის“ ეთერში გადაცემები აღარ მიჰყავდა.

სასიხარულო ინფორმაცია არჩილისა და ნუცას მეგობრებთან ერთად, მათმა ათასობით გულშემატკივარმა გაიზიარა და წყვილს ჯანმრთელი პატარას მოვლინება უსურვა.

ჯულიეტა ვაშაყმაძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა

ცნობილი ჟურნალისტი და მსახიობი ჯულიეტა ვაშაყმაძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი კარიერა საქართველოს პირველი არხის დაარსებასთან ერთად დაიწყო. 1956 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პირველი არხი პირველად გავიდა ეთერში და ამ დღიდან ჯულიეტა ვაშაყმაძეც ეკრანზე გამოჩნდა.

უხუცესმა ჟურნალისტმა კარიერა დიქტორობით დაიწყო და ტელეკომენტატორობით გააგრძელა. სხვადასხვა წლებში ჯულიეტა ვაშაყმაძემ სოციალური, თეატრალური, კულტურული, საინფორმაციო გადაცემები წაიყვანა.

2013 წლის 30 დეკემბერს, ტელევიზიის დაარსების 57 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს პირველმა არხმა მთაწმინდის პარკში, თბილისის ანძის სიახლოვეს, საპატიო ვარსკვლავი გაუხსნა ტელევიზიის პირველ წამყვანებს, მათ შორის, ჯულიეტა ვაშაყმაძეს.

ჯულიეტა ვაშაყმაძემ მონაწილეობა მიიღო ცნობილ ქართულ ფილმებში: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ყვავილი თოვლზე“, „თოჯინები იცინიან“, „პაპა გიგია“.



თამთა მაღრაძემ ლისტის კონკურსში გაიმარჯვა

ქართველმა პიანისტმა თამთა მაღრაძემ ფერენც ლისტის სახელობის საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა.

თამთა ახალგაზრდა პიანისტია და ვაიმარში სწავლობს. მან სხვადასხვა ქვეყნის 13 კონკურსანტთან ერთად მოიპოვა ფინალისტობა, 1395 ქულით პირველი ადგილი მიენიჭა და 1000-ევროიანი ფულადი პრემიაც ერგო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. იტალიური საკონდიტრო; 2. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 4. მომღერალ-მუსიკოსი შუა აზიაში; 5. სტადიონი მეხიკოში; 11. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთი არჩევა; 12. ტროპიკებში ბინადარი მოკლეხორთუმიანი ცხოველი; 14. სოფელი ხევსურეთში; 16. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდიზმის მიხედვით; 17. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 19. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. აეროპორტი პეკინში; 22. ლუდის სასმელი ჭიქა.

თარაზულად: 6. შემოქმედებითი წარმოსახვა, ოცნება; 7. სამთო-სათხილამურო ცენტრი სლოვენიაში; 8. მდინარე ბერლინში; 9. კომბინაცია პოკერში; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 18. რიგითი მეზღვაური; 20. მაღალხარისხიანი წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში; 21. რეგიონი კახეთში; 23. სახელმწიფო კავკასიაში; 24. მდინარე ტოკიოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა